



მოხსენება

საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის

შესრულების მიმდინარეობის შესახებ

მთავრობის ანგარიშზე

შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები	3
1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა აგრეგატულ დონეზე.....	4
2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	5
3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები.....	17
3.1. მხარჯავი დაწესებულებები	26
3.1.1. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური გადანაწილებები	26
3.1.2. პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გამოვლენილი აუთვისებლობები	30
3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები	33
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (53 08)	38
4. ლიკვიდობის მართვის საკითხები	45
4.1. სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები	45
4.1.1. ფულადი სახსრების მართვა	51
5. საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება.....	52

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

მოხსენების
სამართლებრივი
საფუძვლები

მოხსენება მომზადებულია „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 183-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლის შესაბამისად.

მოხსენების
დოკუმენტური
საფუძვლები

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია: ა) საქართველოს მთავრობის მოხსენება „2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“; ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე სახელმწიფო ხაზინის მიერ მომზადებული ყოველთვიური, კვარტალური და წლიური ანგარიშები; გ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშების დოკუმენტები; დ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები; ე) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია;

სახელმწიფო
ბიუჯეტის
შესრულების
მიმდინარეობის
შესახებ ანგარიშის
მომზადებაზე
პასუხისმგებლობა

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა. ანგარიშის საფუძვლად გამოყენებული სტატისტიკური ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელი არიან საქართველოს მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

სახელმწიფო
აუდიტის
სამსახურის
პასუხისმგებლობა

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის საქართველოს მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

ზოგადი შეფასება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში მოცემული მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

1. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა აგრეგატულ დონეზე


2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიხედვით შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა, შესაბამისად 9,150 მლნ ლარისა და 9,080 მლნ ლარის დონეზე. 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით ბიუჯეტის შესრულების ანალიზით ვლინდება, რომ შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი 5,464 მლნ ლარს წარმოადგენს, რაც წლიური გეგმის 60%-ია, ხოლო გადასახდელების ფაქტობრივი შესრულება 5,352 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც წლიური გეგმის 59%-ია.

	შესრულება 8 თვის მდგომარეობით	9 თვის გეგმა	წლიური გეგმა	8 თვე/9 თვის გეგმა (%)	8 თვე/წლიური გეგმა (%)
შემოსულობები	5,463,957	6,537,712	9,105,000	83.6%	60.0%
გადასახდელები	5,352,006	6,747,604	9,080,000	79.3%	58.9%


ცხრილი #1. 2014 წლის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონსა და შემოსულობებისა და გადასახდელების კვარტალურ განწერაში ცვლილებები არ განხორციელებულა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არაერთგზის აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებში. შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის გათვალისწინება. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ძირითადად შესაბამისობაშია კვარტალური განწერით დამტკიცებულ გეგმურ მაჩვენებლებთან. კერძოდ, შემოსულობების ჯამური მაჩვენებლის შესრულებამ 8 თვის მდგომარეობით 9 თვის გეგმის 83.6%, ხოლო გადასახდელების ჯამური მაჩვენებლის შესრულებამ - 79.3 % შეადგინა.

შემოსულობებისა და გადასახდელების ცალკეული კომპონენტების 8 თვის შესრულების წილი ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ მაჩვენებლებთან მიმართებაში 2013-2014 წლებისათვის წარმოდგენილია #1 და #2 დიაგრამაზე.



დიაგრამა #1.



დიაგრამა #2.

2. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 2014 წლის ბიუჯეტის კანონით 7,319 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა, ხოლო 8 თვის მდგომარეობით ფაქტიურმა შესრულებამ 4,630 მლნ ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 63%-ია. აღსანიშნავია, რომ შემოსავლების სხვა კომპონენტებისაგან განსხვავებით შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება სხვა შემოსავლების მუხლით მიღებული შემოსულობა.

შემოსავლების კომპონენტები	2014 წლის გეგმა	8 თვის ფაქტიური შესრულება	%
საგადასახადო შემოსავლები	6,820,000	4,373,399	64.1%
გრანტები	144,000	97,029 ¹	67.4%
სხვა შემოსავლები	355,000	159,449	44.9%
სულ:	7,319,000	4,629,877	63.3%

ცხრილი #2. 2014 წლის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

¹ აქ და შემდგომში, აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს საანგარიშო პერიოდში მხარჯავი დაწესებულებების მიერ მობილიზებულ მიზნობრივ (რეესტრის) გრანტებს - 30.8 მლნ ლარის ოდენობით

შემოსავლების უდიდესი წილი საგადასახადო შემოსავლებზე მოდის, რაც მთლიანი შემოსავლების 95% წარმოადგენს. 8 თვის შესრულების მდგომარეობით შემოსავლების თითოეული კომპონენტის წილი შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა # 3.

რაც შეეხება 8 თვის შესრულების ტენდენციას გასულ წლებთან მიმართებაში, შემოსავლის სახით მობილიზებული ჯამური სახსრები გასული წლების ანალოგიურ მაჩვენებელს, შესაბამისად, 1.7%-ითა (2012 წელთან მიმართებაში) და 8.0%-ით აღემატება (2013 წელთან მიმართებაში). გასულ წელთან მიმართებაში განსაკუთრებით აღსანიშნავია საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებლის ზრდა (9.0%-ით), რაც განპირობებულია 2014 წლის განმავლობაში ეკონომიკური აქტივობის ამაღლებით. რაც შეეხება 8 თვის მდგომარეობით სხვა შემოსავლების კომპონენტის შესრულების ტენდენციას, ბოლო წლების განმავლობაში იგი მნიშვნელოვანი შემცირებით ხასიათდება (2012 წელთან მიმართებაში 60.2%-ით). 2012-2014 წლებისათვის შემოსავლების ცალკეული კომპონენტების დინამიკა წარმოდგენილია ცხრილში#3.

შემოსავლები კომპონენტები	2012 წელი	2013 წელი	2014 წელი	ზრდის ტემპი 2012-2013 წწ.	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.
საგადასახადო შემოსავლები	4,012,773	4,012,116	4,373,399	0.0%	9.0%
გრანტები	138,912	82,498	97,029	-40.6%	17.6%
სხვა შემოსავლები	400,948	193,825	159,449	-51.7%	-17.7%
სულ:	4,552,633	4,288,439	4,629,877	-5.8%	8.0%

ცხრილი #3. 2012-2014 წლებში შემოსავლების შესრულების დინამიკა 8 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)

საგადასახადო შემოსავლები

2014 წლის 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ჯამურმა მოცულობამ 4,373 მლნ ლარი და ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმის 64% შეადგინა. ამასთან, საგადასახადო შემოსავლების შესრულების ჯამური მაჩვენებელი 9 თვის გეგმასთან მიმართებაში მაღალი შესრულებით ხასიათდება და 89.1%-ს შეადგენს.



დიაგრამა #4.

საგადასახადო შემოსავლების მობილიზების ტენდენციები ცალკეული გადასახადის ტიპის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში #4. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის ბიუჯეტის კანონით მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი (912 მლნ ლარი) 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (924 მლნ ლარი) დაბალი ოდენობით განისაზღვრა, აღნიშნული მაინც ოპტიმისტურად დაგეგმილი აღმოჩნდა გასულ წელს მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის გათვალისწინებით. შესრულების მიმდინარეობისა და ექსტრაპოლაციის მეთოდზე დაყრდნობით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით², 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმური მაჩვენებლის მიღწევა მოგების გადასახადისათვის შესაძლოა გართულდეს, რაც ასევე აღნიშნულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2014 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტზე. რაც შეეხება სხვა საგადასახადო შემოსავლებს, ისინი შესაბამისობაში არიან ბიუჯეტის კანონით გათვალისწინებულ საპროგნოზო მაჩვენებლებთან და უმეტეს შემთხვევაში, მოსალოდნელია ფაქტიური მაჩვენებლების გეგმურზე გადაჭარბება.

საგადასახადო შემოსავლები	წლიური გეგმა	9 თვის გეგმა	ფაქტიური შესრულება (8 თვე)	% წლიურ გეგმასთან მიმართებაში	% 9 თვის გეგმასთან მიმართებაში
საშემოსავლო გადასახადი	1,770,000	1,221,100	1,114,444	63%	91%
მოგების გადასახადი	912,000	736,500	544,343	60%	74%
დამატებული	3,274,000	2,320,100	2,118,340	65%	91%

² აღნიშნული შეფასება ეყრდნობა 2014 წლის 8 თვის მობილიზების ტენდენციების გათვალისწინებით, ბოლო სამი წლის მაჩვენებლების საფუძველზე ექსტრაპოლაციის მეთოდით 2014 წლისათვის საგადასახადო შემოსავლების მოსალოდნელი მოცულობის პირველად შეფასებას.

ღირებულების	0				
აქციზი	739,000	540,400	516,523	70%	96%
იმპორტის გადასახადი	100,000	73,200	64,782	65%	89%
სხვა გადასახადები	25,000	17,400	14,783	59%	85%

ცხრილი #4. 2014 წლის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)

გასულ წელთან მიმართებაში შეიმჩნევა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გამოსწორება საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კუთხით. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები 9.0%-ითა და ნომინალურ გამოხატულებაში 361,2 მლნ ლარით აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, რაც ძირითადად დამატებული ღირებულების გადასახადის(დღგ) (17.1%-ით), ასევე, აქციზისა (11.1%-ით) და იმპორტის (14.0%-ით) გადასახადების ზრდითაა განპირობებული. დღგ-დან შემოსავლის ასეთი მკვეთრი ზრდის ერთ-ერთ მიზეზებად შეიძლება დასახელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილება³, რომლის მიხედვითაც გაუქმდა იმპორტის დღგ-თი დაბეგვრის სპეციალური წესი.

საგადასახადო შემოსავლები	2012 წელი, 8 თვე	2013 წელი, 8 თვე	2014 წელი, 8 თვე	ზრდის ტემპი 2012-2013 წწ.	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.
საშემოსავლო გადასახადი	1,026,478	1,116,241	1,114,444	8.7%	-0.2%
მოგების გადასახადი	605,501	547,707	544,343	-9.5%	-0.6%
დამატებული ღირებულების გადასახადი	1,893,957	1,809,259	2,118,340	-4.5%	17.1%
აქციზი	406,590	465,043	516,523	14.4%	11.1%
იმპორტის გადასახადი	59,632	56,809	64,782	-4.7%	14.0%
სხვა გადასახადები	20,073	15,504	14,783	-22.8%	-4.7%
სულ:⁴	4,012,230	4,010,562	4,373,215	0.0%	9.0%

ცხრილი #5. საგადასახადო შემოსავლების 8 თვის შესრულების დინამიკა 2012-2014 წლებში (ათასი ლარი)

თუმცა ზემოაღნიშნული საგადასახადო შემოსავლების პარალელურად, გასულ წელთან მიმართებაში საშემოსავლო (-0.2%), მოგებისა (-0.6%) და სხვა გადასახადების (-4.7%) მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მოგების გადასახადის შემცირება აიხსნება 2013 წლის მკვეთრი ეკონომიკური ვარდნის დაყოვნებული ეფექტით კერძო სექტორზე, რამდენადაც 2013 წლის პერიოდში მობილიზებული შემოსავლის დეკლარირება, გადასახადისა და მიმდინარე გადასახდელების გადახდა მიმდინარე წელს ხორციელდება. რაც შეეხება


³ აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2014 წლის 1 ივნისიდან

⁴ აღნიშნული მაჩვენებელი არ მოიცავს „სხვა გადასახადებს, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია”

საშემოსავლო გადასახადის კლებას გასულ წელთან მიმართებაში, აღნიშნული განპირობებულია 2014 წლის განმავლობაში დაბრუნებული საშემოსავლო გადასახადის დაუბეგრავი მინიმუმით. აღნიშნული პროცესი 2014 წლის 1 აპრილს დაიწყო და აპრილ-აგვისტოში გადასახადის გადამხდელებს დაუბრუნდათ 127.4 მლნ ლარი. თანხის დაბრუნება ხორციელდებოდა ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშიდან. ხაზინის ერთიანი ანგარიშის დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხის მიმართვა ხდება ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალურ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე და თანხა მიიმართება მიმდინარე წლის განმავლობაში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლებიდან. დაუბეგრავი მინიმუმის შემთხვევაში, დაბრუნების ქვეანგარიშზე თანხის მიმართვა მოხდა საშემოსავლო გადასახადიდან, რამაც განაპირობა მიმდინარე წელს საშემოსავლო გადასახადის შემცირების ტენდენცია, ვინაიდან გადასახადების დაბრუნების აღრიცხვა განიხილება, როგორც შესაბამისი საგადასახადო შემოსავლის შემცირება - უარყოფითი საგადასახადო შემოსავალი და არა როგორც ხარჯი. შესაბამისად, 2014 წლის ბიუჯეტის კანონსა და 8 თვის მიმდინარეობის შესახებ მთავრობის ანგარიშში წარმოდგენილი საშემოსავლო გადასახადი ასახავს მის წმინდა ოდენობას.

სხვა შემოსავლები

2014 წლის ბიუჯეტის კანონით სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 355 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა და 18.3%-ით გადააჭარბა 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (300 მლნ ლარი). რაც შეეხება მიმდინარე წლის 8 თვის შესრულების მდგომარეობას, სხვა შემოსავლების მუხლით მობილიზებულ იქნა 159,4 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 45%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 58%-ს შეადგენს. აღნიშნული ჩამორჩენა განპირობებულია სხვა შემოსავლების თითოეული კომპონენტის წლიური გეგმიდან გადახრით, განსაკუთრებით კი ეს ეხება შემოსავლები საკუთრებიდან კომპონენტს. აღსანიშნავია, რომ გასული წლებისაგან მკვეთრად განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება სხვა შემოსავლების მუხლით მობილიზებული სახსრების კომპონენტების წილობრივი განაწილების კუთხით. კერძოდ, უდიდესი წილი (38%) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების კომპონენტზე მოდის, ხოლო ყველაზე მცირე - შემოსავლები საკუთრებიდან (10%), მაშინ როცა 2013 წელს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების წილი ყველაზე მცირე იყო (16%), ხოლო სანქციების (ჯარიმები და საურავები) წილი ყველაზე დიდი (43%).



დიაგრამა #5.

დიაგრამა # 6.

რაც შეეხება სხვა შემოსავლების კომპონენტებს, შემოსავლები საკუთრებიდან მუხლის ფაქტიური შესრულება მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმურ მაჩვენებელს და მხოლოდ 17.3%-ის დონეზეა განსაზღვრული. აღნიშნული მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა შემცირებული გასულ წელთან შედარებითაც. კერძოდ, 8 თვის მდგომარეობით, შემოსავლები საკუთრებიდან მუხლით მობილიზებული სახსრები 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 63.5%-ით ჩამორჩება და 15,5 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული ფაქტი გამოწვეულია შემოსავლები საკუთრებიდან მუხლის ყველა კომპონენტების ჩამორჩენით წლიური გეგმიდან, თუმცა ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა სახელმწიფო ბიუჯეტის დივიდენდების მობილიზების საკითხი.


სხვა შემოსავლების კომპონენტები	2013 წელი, 8 თვე	2014 წელი, 8 თვე	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.	8 თვის შესრულება გეგმურ მაჩვენებელთან
შემოსავლები საკუთრებიდან	42,504	15,521	-63.5%	17.3%
პროცენტი	7,440	12,389	66.5%	44.2%
დივიდენდი	28,947	123	-99.6%	0.2%
რენტა	6,118	3,010	-50.8%	45.6%
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	35,863	35,465	-1.1%	51.6%
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	83,751	47,827	-42.9%	47.8%
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული	31,707	60,620	91.2%	63.8%
სულ:	193,825	159,449	-17.7%	44.9%

ცხრილი # 6. სხვა შემოსავლების 2014 წლის 8 თვის შესრულების მდგომარეობა (ათასი ლარი)

დივიდენდები

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების წლიური გეგმა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით 55,000 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, მაშინ როცა 8 თვის მდგომარეობით შესრულებამ 123 ათასი ლარი და წლიური გეგმის მხოლოდ 0.2% შეადგინა. რაც შეეხება აღნიშნული მაჩვენებლის გასულ წელთან მიმართებას, დივიდენდების მუხლით მობილიზებული სახსრები 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 99.6%-ით ჩამორჩება. შესრულების აღნიშნული დაბალი მაჩვენებელი ნაწილობრივ განპირობებულია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ 2014 წლის ბოლომდე ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების (14,500 ათასი ლარი) 2013 წლის ბიუჯეტში წინსწრებით გადახდით.

დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების წლიური ტენდენცია, წინა წლების მსგავსად, მნიშვნელოვანი არათანაბარზომიერებით ხასიათდება. კერძოდ, დივიდენდების სახით შემოსავლების უდიდესი წილი მიღებულ იქნა იანვარსა (41 ათასი ლარი) და ივლისში (23 ათასი ლარი).



დიაგრამა #7.

დივიდენდების სახით მიღებული შემოსავლების ანალიზისას, უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მართვის ეფექტიანობის საკითხები. ამ მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად (ლიკვიდაცია, გაკოტრება, მართვის უფლებით გადაცემა, პრივატიზება, შერწყმა და ა.შ.) სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს მმართველობაში არსებული სახელმწიფო საწარმოების რაოდენობა 65%-ით შემცირდა (391 ერთეულამდე). თუმცა აღსანიშნავია, რომ დარჩენილი საწარმოების 67% იმყოფება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ან/და საერთოდ არ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას⁵.

⁵ იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

რაც შეეხება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგების განაწილებას, აღსანიშნავია, რომ 2014 წლის მიმდინარე მდგომარეობით, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის (შემდგომში კომისია) სხდომა არ ჩატარებულა⁶, ხოლო გასულ წელს აღნიშნული კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულება მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება⁷. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ იქნა ყურადღება გამახვილებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების მოხსენებებში, თუმცა იგი კვლავ პრობლემატური რჩება. კერძოდ, 2013 წელს ჩატარებული კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი რიგი საწარმოების (86 საწარმო) მიერ 2010-2011 წლების წმინდა მოგების სრულად ან ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის შესახებ 2013 წლის ბოლომდე, ჯამურად 379,570 ლარის ოდენობით. თუმცა 2013 წლის დეკემბრის დასასრულის მდგომარეობით, აღნიშნული საწარმოებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში დივიდენდები მიმართულ იქნა მხოლოდ 4 საწარმოს მიერ, ჯამურად 49,130 ლარის ოდენობით (ბიუჯეტში მისამართი თანხის 13 %). საყურადღებოა, რომ აღნიშნული საწარმოების მიერ სახსრების მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში არც 2014 წლის განმავლობაში მომხდარა.

გარდა ზემოაღნიშნული საწარმოებისა, 2013 წელს ჩატარებული კომისიის მიერ განხილულ იქნა დამატებით 85 საწარმოს მხრიდან 2010-2011 წლების წმინდა მოგების განაწილების შესახებ გაფორმებული შეთანხმებების პირობების შეუსრულებლობის საკითხი. კერძოდ, 2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული საწარმოების მიერ ბიუჯეტში მისამართი 2,456,127 ლარიდან, დივიდენდების სახით მობილიზებულია მხოლოდ 482,665 ლარი (ბიუჯეტში მისამართი თანხის 19.7%). კომისიის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ შესწავლილ იქნა აღნიშნული საწარმოების ფინანსური მდგომარეობა, რის საფუძველზეც საწარმოთა ნაწილს დაეგზავნა ცირკულარული წერილები წლის დასასრულამდე თანხის ჩარიცხვის მოთხოვნით, ხოლო ნაწილი გადახდისუუნაროდ იქნა მიჩნეული (სახსრების ამოღება უნდა განხორციელდეს მათი გაკოტრება-ლიკვიდაციის ან/და პრივატიზების პროცესში). საერთო ჯამში, აღნიშნული 85 საწარმოს მიერ 4.02.2011წ-დან 26.12.2011წ-მდე პერიოდში გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, 2013 წლის ბოლომდე სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი დარჩა 1,973,462 ლარი. თუმცა, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

⁶ ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით უახლოეს მომავალში იგეგმება

⁷ სახელმწიფო ბიუჯეტის დივიდენდების მუხლით შემოსავლების დაგეგმვასა და შესრულებასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ სას-ის მოხსენებაშიც აღინიშნა

სახელმწიფო ბიუჯეტში მიიმართა მხოლოდ 267,504 ლარი (ბიუჯეტში მისამართი თანხის 13.6%). საყურადღებოა, რომ 2014 წლის განმავლობაში აღნიშნული 85 საწარმოდან ბიუჯეტში მიმართულ იქნა 2,843 ლარი მხოლოდ 1 საწარმოს მიერ.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2013 წელს კომისიას არ მიუღია გადაწყვეტილება სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების 2012 წელს მიღებული წმინდა მოგების განაწილების შესახებ.

	2013 წლის ბოლომდე ბიუჯეტში მისამართი თანხა	2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტში მიმართული თანხა	დარჩენილი - ბიუჯეტში მისამართი თანხა	2014 წელს მიმართული სახსრები
85 საწარმო	1,973,462	267,504	1,705,958	2,843
86 საწარმო	379,570	49,130	330,440	0
სულ:	2,353,032	316,634	2,036,398	2,843

ცხრილი #7. სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მიერ 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით ბიუჯეტის წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულების მაჩვენებლები

რაც შეეხება 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით დივიდენდების სახით მობილიზებულ შემოსავლებს, სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრები მიმართა სულ შვიდმა საწარმომ, 123 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული საწარმოებიდან, საყურადღებოა, სს „ტრავმატოლოგის“ მიერ 2009 წლის წმინდა მოგებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში მისამართი დივიდენდების საკითხი. კერძოდ, სს „ტრავმატოლოგის“ თხოვნით (საწარმოს ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე), 2013 წელს კომისიის მიერ ცვლილება იქნა შეტანილი 2010 წლის შეთანხმებაში, რის შედეგადაც აღნიშნულ საწარმოს დაევალა დარჩენილი 180.4 ათასი ლარის დავალიანების ჩარიცხვა განხორციელებინა 2013 წლის ივლისის თვიდან, 35 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად, თვეში 5 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ბოლო თვეში (2016 წლის მაისი) – 10.4 ათასი ლარის ოდენობით. თუმცა, 2014 წლის განმავლობაში სს „ტრავმატოლოგის“ მიერ ბიუჯეტში თანხების მიმართვა ხორციელდებოდა შეთანხმებული გრაფიკის დარღვევით და 1 სექტემბრის მდგომარეობით მიმართულ იქნა მხოლოდ თანხის ნაწილი - 30,000 ლარის ოდენობით.


ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, „სახელმწიფო მდგომარეობის გათვალისწინებითა და სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე წლის შემოსავლების დინამიკიდან გამომდინარე, აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს საწარმოების წმინდა მოგებიდან დივიდენდების სახით თანხების წამოღება. უფრო პრიორიტეტულად მიჩნეულია აღნიშნული თანხების

საწარმოების განკარგულებაში დატოვება, მათი ეკონომიკური სტიმულირებისა და აქტივობის წახალისების მიზნით, რაც შემდგომ უფრო მეტ ეფექტს მოიტანს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კუთხით”. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აუცილებელია, საბიუჯეტო წლის დასაწყისში განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გარდა აუცილებელი შემთხვევებისა, არ მოხდეს მისი ცვლილება ფისკალური წლის განმავლობაში მხოლოდ არსებულ ტენდენციებზე დაყრდნობით, სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების წმინდა მოგების განაწილებისა და გამოყენების შესახებ წინადადებების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით შექმნილი კომისიის გადაწყვეტილების გარეშე.

თუ გავითვალისწინებთ, 2013 წელს კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს და იმ ფაქტს, რომ 2014 წლის განმავლობაში კომისია არ შეკრებილა და ასევე, 2014 წლის ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული დივიდენდების საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულების უარყოფით ტენდენციას (წლიური გეგმის მხოლოდ 0.2%), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აუცილებელია, დამატებითი ყურადღება გამახვილდეს აღნიშნულ საკითხზე. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მოგების განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებისათვის ქმედითი მექანიზმების გამოყენების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კომისიასთან შეთანხმებების საფუძველზე განსაზღვრული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დროულად და სრულად მობილიზება.

რენტა


2014 წლის ბიუჯეტის კანონით, რენტის მუხლით შემოსავლის წლიური გეგმა 6,600 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტში რენტის სახით მიღებული შემოსავლების მოცულობამ 3,010 ათასი ლარი და წლიური გეგმის 45.6%, ხოლო 9 თვის გეგმის 48.2% შეადგინა. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ 2014 წლისათვის რენტის სახით შემოსავლების მობილიზება ჩამორჩენით ხასიათდება ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ გეგმასთან მიმართებაში, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ წელს ანალოგიური მაჩვენებელი 61%-ს შეადგენდა. რაც შეეხება რენტის სახით მობილიზებული შემოსავლების სტრუქტურას, იგი წინა წლის ანალოგიურია და უდიდესი წილი (95%) მოდის სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლებიდან. რენტის მუხლით მობილიზებული სახსრების კვარტალური განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება.



დიაგრამა #8.

საპროცენტო შემოსავლები


სახელმწიფო ბიუჯეტის საპროცენტო შემოსავლების წლიური გეგმა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით 28,000 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა და 17,000 ათასი ლარით გადააჭარბა გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (11,000 ათასი ლარი). რაც შეეხება შესრულებას, 8 თვის მდგომარეობით პროცენტის სახით მობილიზებულია 12,389 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 44.2%-სა და 9 თვის გეგმის 72.9%-ს შეადგენს. რაც შეეხება საპროცენტო შემოსავლების სტრუქტურას, 2013 წლის ანალოგიურად უდიდესი წილი მოდის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებზე გაცემული სესხებიდან მიღებულ საპროცენტო შემოსავლებზე, რომლის ჯამურმა მოცულობამ 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით 7.3 მლნ ლარი (საპროცენტო შემოსავლების 59%) შეადგინა. საპროცენტო შემოსავლების მობილიზების კვარტალური დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა #9.

სანქციები (ჯარიმები და საურავები)


2014 წლის ბიუჯეტის კანონით, სანქციებისა და ჯარიმების მუხლის გეგმური მაჩვენებელი, გასული წლის მსგავსად 100 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა. თუმცა, 2013 წლისაგან განსხვავებით, 8 თვის ფაქტობრივი შესრულება 47.8 მლნ ლარს შეადგენს და მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც წლიურ (47.8%), ისე 9 თვის გეგმით (68.3%) განსაზღვრულ მაჩვენებელს. 2014 წლის განმავლობაში სანქციებისა და ჯარიმების მობილიზების ტენდენცია თანაბარზომიერებით ხასიათდება. რაც შეეხება სანქციების (ჯარიმებისა და საურავების) სტრუქტურას, უდიდესი წილი მოდის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის შედეგად დაკისრებული სანქციებიდან, რომლის მოცულობამ მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით 20 მლნ ლარი (სანქციებიდან შემოსავლის 42.1%) შეადგინა.



დიაგრამა #10.

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები

განსაკუთრებით საყურადღებოა შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების მუხლით დაგეგმილი შემოსავლების ოდენობა. კერძოდ, 2014 წლის ბიუჯეტის კანონით აღნიშნული შემოსავლის მოცულობა განსაზღვრულია 95 მლნ ლარით და სხვა შემოსავლებში სიდიდით მეორე ადგილი უჭირავს (26.8%) სანქციებისა და ჯარიმების მუხლის შემდგომ. მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების მუხლით მობილიზებული სახსრების ოდენობა 60.6 მლნ ლარს და წლიური გეგმის 63.8%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 72.5%-ს შეადგენს. კერძოდ, 2013 წელთან შედარებით აღნიშნული მუხლის წლიური გეგმა 30 მლნ ლარით (46.2%-ით), ხოლო 8 თვის მდგომარეობით ფაქტიური შესრულება 29 მლნ ლარითაა გაზრდილი (91.2%-ით). 2014 წლისათვის აღნიშნული მუხლით შემოსავლების შესრულების მიმდინარეობა ძირითადად შესაბამისობაშია ბიუჯეტის კანონითა და კვარტალური განწერით გათვალისწინებულ გეგმურ მაჩვენებლებთან.



დიაგრამა #11.

8 თვის მდგომარეობით შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით მობილიზებული შემოსავლების უდიდესი წილი (67%), 40,430 ათასი ლარი, მოდის სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების მუხლზე. აღნიშნული გამოწვეულია 2012 წლის 20 დეკემბრის მთავრობის N119 დადგენილების საფუძველზე სსიპ-ების ანგარიშზე განთავსებული თავისუფალი ნაშთის ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვით. კერძოდ, აღნიშნული დადგენილების საფუძველზე მიმდინარე წლის მარტ-აპრილში სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების მუხლით ბიუჯეტში სახსრები მიმართა ოთხმა სსიპ-მა, ჯამში 32 მლნ ლარის ოდენობით:

- სსიპ შემოსავლების სამსახურმა - 15,000 ათასი ლარი;
- სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ - 14,000 ათასი ლარი;
- სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტომ - 2,000 ათასი ლარი;
- სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ - 1,000 ათასი ლარი.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით 9,080 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. 8 თვის მდგომარეობით ათვისების მაჩვენებელმა წლიური გეგმის 58.9% (5,352 მლნ ლარი) შეადგინა, ხოლო 9 თვის გეგმის - 79.3%. აღნიშნული მაჩვენებელი აღემატება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (52.6%) როგორც პროცენტულ, ისე ნომინალურ გამოხატულებაში (2013 წლის 8 თვის შესრულების ოდენობამ 4,604 მლნ ლარი შეადგინა). რაც შეეხება ათვისებული გადასახდელების სტრუქტურას, წინა წლების მსგავსად, უდიდეს წილს (85%) ხარჯების მუხლი შეადგენს, უმცირესს (2%) კი - ფინანსური აქტივების ზრდის მუხლი. გადასახდელების კომპონენტების ბიუჯეტის კანონით

განსაზღვრული წლიური გეგმები და შესრულების მაჩვენებლები 8 თვის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში.


გადასახდელის კომპონენტები	წლიური გეგმა	9 თვის გეგმა	ფაქტიური შესრულება 8 თვის მდგომარეობით	ფაქტი/წლიური გეგმა(%)	ფაქტი/9 თვის გეგმა(%)
ხარჯები	7,539,613	5,553,445	4,575,478	61%	82%
არაფინანსური აქტივების ზრდა	734,125	557,115	326,976	45%	59%
ფინანსური აქტივების ზრდა	208,180	183,628	102,969	49%	56%
ვალდებულებების კლება	598,081	453,417	346,583	58%	76%
სულ:	9,079,999	6,747,605	5,352,006	59%	79%

ცხრილი #8. 2014 წლის გადასახდელის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი).

აღნიშნავია, რომ 2014 წლის განმავლობაში გადასახდელის კვარტალურ განწერაში ცვლილებები არ განხორციელებულა⁸, რაც საშუალებას იძლევა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშებში სრულყოფილად იქნეს წარმოდგენილი შესრულების მაჩვენებლების მიმართება (გადახრა) გეგმურ მაჩვენებლებთან.


რაც შეეხება გადასახდელის ცალკეული კომპონენტების შესრულების დინამიკას, 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით ხარჯების მუხლით გადახდილ იქნა 4,575 მლნ ლარი, რაც წლიური გეგმის 60.7%-სა და 9 თვის გეგმის 82.4%-ს შეადგენს. 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საშუალო თვიური მაჩვენებელი 572 მლნ ლარს შეადგენს. ამასთან, თუ ჩავთვლით, რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გეგმური მაჩვენებელი (7,539.6 მლნ ლარი) შესრულდება, მივიღებთ, რომ 2014 წლის ბოლო 4 თვის ხარჯვითი ნაწილის საშუალო თვიური მაჩვენებელი (741 მლნ ლარი) პირველი 8 თვის საშუალო მაჩვენებელს 1.3-ჯერ გადააჭარბებს, მაშინ როცა 2013 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 1.8-ს უდრიდა.

⁸ ადგილი ჰქონდა მხოლოდ გეგმების დაზუსტებას



დიაგრამა #12.

ხარჯების მუხლისაგან განსხვავებით, წინა წელთან შედარებით მდგომარეობა არ შეცვლილა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში. კერძოდ, 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი 40.9 მლნ ლარს შეადგენს. ამასთან, თუ ჩავთვლით, რომ მიმდინარე წლის საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი (734.1 მლნ ლარი) შესრულდება, მივიღებთ, რომ 2014 წლის ბოლო 4 თვის არაფინანსური აქტივების ზრდის საშუალო თვიური მაჩვენებელი (101.8 მლნ ლარი) პირველი 8 თვის საშუალო მაჩვენებელს 2.5-ჯერ გადააჭარბებს. აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის უტოლდება 2013 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (ბოლო 4 თვის საშუალო 2.7-ჯერ აჭარბებდა 8 თვის საშუალოს), რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა არ შეცვლილა.



დიაგრამა #13.

ზემოაღნიშნული ტენდენციები, განსაკუთრებით კი არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი, შესაძლოა მიანიშნებდეს, გასული წლების მსგავსად მიმდინარე წლის დასასრულს გადასახდელების ზრდის ალბათობაზე. წლის ბოლოსათვის აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების მასშტაბური ხარჯვა კი, როგორც გასული წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, ქმნის საბიუჯეტო რესურსების არაეფექტიანად და არამიზნობრივად გახარჯვის რისკს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ყურადღება გამახვილდა 2012-2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებასა და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პუბლიკაციაში „ასიგნებების გადატანის უფლებამოსილება შემდგომი ფისკალური წლისათვის (Carry-Over მექანიზმი)“. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე გამახვილდეს დამატებითი ყურადღება, როგორც მხარჯავი დაწესებულებების ისე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან და მიზანშეწონილია, ეტაპობრივად შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მხარჯავი უწყებების მიერ ეფექტიანი და ეკონომიური ხარჯვისათვის ქმედითი სტიმულების შექმნას.

შრომის ანაზღაურება

2014 წლის ბიუჯეტის კანონით შრომის ანაზღაურების მუხლით განსაზღვრული ასიგნება 1,318 მლნ ლარს უტოლდება, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 137 მლნ ლარით (11.6%-ით) აღემატება. 8 თვის მდგომარეობით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან შტატით გათვალისწინებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 839 მლნ ლარი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების 18.3%-ს, ხოლო გადასახდელების 15.7%-ს შეადგენს. გასულ წელთან მიმართებაში, 8 თვის მდგომარეობით შრომის ანაზღაურების მუხლის ფარგლებში გადახდილი სახსრების მოცულობა შემდეგნაირად გამოიყურება:

შრომის ანაზღაურება	2013	2014	ზრდის ტემპი 2013-2014 წწ.
ხელფასები ფულადი ფორმით - თანამდებობრივი სარგო	586,792.2	659,054.4	12.3%
ხელფასები ფულადი ფორმით - წოდებრივი სარგო	8,430.7	9,138.6	8.4%
ხელფასები ფულადი ფორმით - პრემია	61,449.6	57,501.9	-6.4%
ხელფასები ფულადი ფორმით - დანამატი	78,981.6	104,962.3	32.9%
ხელფასები ფულადი ფორმით - ჰონორარი	199.3	210.2	5.5%
ხელფასები ფულადი ფორმით - კომპენსაცია	8,271.4	8,120.5	-1.8%
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	50,788.8	71,751.7	41.3%
სულ:	744,124.7	838,987.9	12.7%

ცხრილი #9. შრომის ანაზღაურების მუხლის ათვისება 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2013 წელთან შედარებით, 8 თვის მდგომარეობით ჯამურად შრომის ანაზღაურების მუხლით გახარჯული სახსრები 12.7%-ითაა გაზრდილი. აღნიშნული ძირითადად განპირობებულია დანამატისა და თანამდებობრივი სარგოს მუხლების მნიშვნელოვანი ზრდით 2014 წლის განმავლობაში, შესაბამისად 32.9%-თა და 12.3%-ით. მაშინ როცა პრემიების სახით გაცემული ხელფასების ოდენობა გასულ წელთან მიმართებაში შემცირდა 6.4%-ით. რაც შეეხება შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპს, იგი მნიშვნელოვნად აღემატება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლის ზრდას და 41.3%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლის ზრდის ტემპი საკმაოდ მაღალი იყო 2012-2013 წლებშიც (33.5%).

	2013	2014
შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება		
შრომის ანაზღაურება/ხარჯები	19.4%	18.3%
შრომის ანაზღაურება/გადასახდელები	16.2%	15.7%
პრემირება		
პრემია/თანამდებობრივი სარგო	10.5%	8.7%
პრემია/შრომის ანაზღაურება	8.3%	6.9%
დანამატი/თანამდებობრივი სარგო	13.5%	15.9%
დანამატი/შრომის ანაზღაურება	10.6%	12.5%
პრემია და დანამატი/თანამდებობრივი სარგო	23.9%	24.7%
პრემია და დანამატი/შრომის ანაზღაურება	18.9%	19.4%
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		
შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება/შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება	6.8%	8.6%
შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება/ხარჯები	1.3%	1.6%
აგრეგირებული შრომის ანაზღაურება საჯარო სექტორში		
შტატგარეშეთა და შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება/ხარჯები	20.8%	19.9%
შტატგარეშეთა და შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება/გადასახდელები	17.3%	17.0%

ცხრილი #10. შრომის ანაზღაურება - შეფარდებით მაჩვენებლების ანალიზი

გასულ წელთან შედარებით, აგრეგატულ დონეზე, 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, შრომის ანაზღაურების წილი, როგორც ხარჯებში ისე გადასახდელებში, შემცირების

ტენდენციით ხასიათდება, შესაბამისად, 1.1%-ითა და 0.5%-ით. აღნიშნული უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ნომინალურ გამოსახულებაში შრომის ანაზღაურების მუხლით ზრდის ტემპი შესაბამის პერიოდში ჩამორჩება, როგორც ხარჯების, ისე გადასახდელების ზრდის ტემპს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თუ შტატით მომუშავე თანამშრომლებზე გაცემული პრემიების წილი შრომის ანაზღაურების მუხლში მცირდება 1.4%-ით, დანამატის წილი იზრდება 1.9%-ით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2013 წელთან შედარებით არსებითი კლების ტენდენციას ავლენს პრემიის მოცულობის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შრომის ანაზღაურების მუხლში, მაშინ როცა დანამატის წილი მნიშვნელოვნად იზრდება.


	2014 წლის 8 თვის საშუალო მაჩვენებელი	2014 წლის იანვარ-ივნისის საშუალო მაჩვენებელი	2014 წლის ივლის-აგვისტოს საშუალო მაჩვენებელი	ფარდობა 6 თვის ივლის- აგვისტოს მაჩვენებელთან
შრომის ანაზღაურება	104,873	103,057	110,323	107.1%
<i>მათ შორის:</i>				
პრემია	7,188	8,218	4,097	49.9%
დანამატი	13,120	12,123	16,112	132.9%

ცხრილი #11. შრომის ანაზღაურების საშუალო თვიური მაჩვენებლები (ათასი ლარი)

განსაკუთრებით საყურადღებოა პრემიისა და დანამატის მუხლით გაცემული შრომის ანაზღაურების დინამიკა 2014 წლის განმავლობაში. კერძოდ, პირველი 8 თვის განმავლობაში, ჯამურად პრემიისა და დანამატის მუხლით გაცემული საბიუჯეტო სახსრების მაჩვენებელი მეტნაკლებად⁹ სტაბილური ტენდენციით ხასიათდებოდა, საშუალო მაჩვენებლით 20.3 მლნ ლარი. რაც შეეხება ცალკეულად პრემიისა და დანამატის ტენდენციებს, 6 თვის მდგომარეობით პრემიისა და დანამატის მუხლებით გაცემული სახსრების საშუალო მაჩვენებლები შეადგენდა, შესაბამისად 8.2 მლნ ლარსა და 12.1 მლნ ლარს, მაშინ როცა ივლის-აგვისტოს პერიოდში გაცემული პრემიის საშუალო მაჩვენებელი 4.1 მლნ ლარამდეა შემცირებული, ხოლო დანამატის საშუალო მაჩვენებელი 16.1 მლნ ლარამდეა გაზრდილი. პრემიის მუხლით გაცემული სახსრების ასეთი მკვეთრი შემცირების (შემცირდა 50%-ით) მიზეზად შეიძლება დასახელდეს საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 ივლისს მიღებული დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 1 ივლისიდან და რომელმაც შეზღუდა წლის განმავლობაში გასაცემი

⁹ აპრილის თვეში ჯამურად პრემიისა და დანამატის ოდენობის მკვეთრი ზრდა განპირობებულია ალდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გაცემულ პრემიებთან

პრემიის მოცულობა და პერიოდულობა. თუმცა, როგორც ზემოაღნიშნული ანალიზიდან ჩანს, პრემიის მუხლით გაცემული სახსრების შემცირების პარალელურად გაიზარდა დანამატის მუხლით გაცემული სახსრების ოდენობა, რაც მიანიშნებს, რომ მხარჯავი დაწესებულებების მიერ მოხდა პრემიის მუხლის დანამატით ჩანაცვლება.



დიაგრამა #14.

მაგალითად:

- *იუსტიციის სამინისტროს აპარატის* (26 01) მიერ 2014 წლის იანვარ-ივნისში დანამატი გაიცემოდა მხოლოდ მინისტრზე და გაცემული დანამატის საშუალო თვიური ოდენობა შეადგენდა 2,710 ლარს. მაშინ როცა ივლის-აგვისტოს პერიოდში დანამატი გაცემულია შესაბამისად 77 და 75 თანამშრომელზე და საშუალო მოცულობა გაზრდილია 72,271 ლარამდე (2567%-ით). აღნიშნულის პარალელურად, პრემიის სახით გაცემული ხელფასის საშუალო თვიური ოდენობა შემცირებულია 69%-ით (იანვარ-ივნისის პერიოდში 104 ათასი ლარიდან ივლის-აგვისტოს პერიოდში 32 ათას ლარამდე). ამასთან საყურადღებოა, რომ 2014 წლის განმავლობაში დაფიქსირდა გაცემულ თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობის პრემიის და დანამატის (ჯამურად) გაცემის 16 შემთხვევა. ივლის-აგვისტოს თვეებში ერთჯერადად გაცემული პრემიის მოცულობა არ აღემატება თანამდებობრივი სარგოს ოდენობას (გარდა მინისტრზე დარიცხული პრემიისა), როგორც განსაზღვრულია მთავრობის დადგენილების მიხედვით¹⁰. თუმცა აღსანიშნავია, რომ აგვისტოში ფიქსირდება ერთჯერადად დარიცხული დანამატის თანამდებობრივ სარგოზე გადამეტების 7 შემთხვევა.

¹⁰ საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 15 ივლისს მიღებული დადგენილება „საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 1

- *საქართველოს პროკურატურის* (26 02) მიერ 2014 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში დანამატი არ გაცემულა, თუმცა ივლის-აგვისტოს პერიოდში დანამატის მუხლით გაცემული სახსრების საშუალო თვიურმა მაჩვენებელმა 595,195 ლარი შეადგინა. რაც შეეხება პრემიების მუხლს, ივლის-აგვისტოს თვეებში გაცემული პრემიების საშუალო თვიური მაჩვენებელი 65%-ითაა შემცირებული და 229 ათას ლარს შეადგენს, მაშინ როცა იანვარ-ივნისის საშუალო მაჩვენებელი 661 ათასი ლარის დონეზე ფიქსირდებოდა. 2014 წლის 8 თვის განმავლობაში თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობის პრემიის და დანამატის გაცემის 108 შემთხვევა დაფიქსირდა. მათ შორის, 45 შემთხვევაში - თანამდებობრივ სარგოზე მეტი ოდენობის პრემიის გაცემას ქონდა ადგილი. რაც შეეხება ივლის-აგვისტოს პერიოდს, ივლისში პრემია გაიკა მხოლოდ 4 თანამშრომელზე, რომელთაგან ერთის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პრემიის ოდენობის თანამდებობრივ სარგოზე გადამეტებას.
- *სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის* (37 01) მიერ 2014 წლის იანვარ-ივნისის პერიოდში დანამატის სახით შრომის ანაზღაურება გაიცემოდა მხოლოდ მინისტრზე საერთო ჯამში 16,260 ლარის ოდენობით. თუმცა აგვისტოს თვეში სამინისტროს აპარატის თანამშრომლებზე დანამატის სახით გაცემულმა თანხამ 91,190 ლარი შეადგინა.
- 2014 წლის საბიუჯეტო განაცხადის მიხედვით, *პრეზიდენტის ადმინისტრაციის* (02 00) წლიური საპრემიო ფონდი შეადგენდა 161,620 ლარს, ფაქტიურად კი 8 თვის მონაცემებით პრემიის სახით გაცემულ იქნა 277,086 ლარი, რაც 115,466 ლარით აჭარბებს წლიურ საპრემიო ფონდს. რაც შეეხება დანამატს, დანამატის სახით 8 თვის განმავლობაში გაცემული 406,694 ლარი საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული საბიუჯეტო განაცხადებით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საყურადღებოა შრომის ანაზღაურების მუხლის დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ნაკლოვანებები. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში დაგეგმვის ეტაპზე საშტატო რიცხოვნობა განსაზღვრულია მნიშვნელოვნად დიდი ოდენობით, ვიდრე შემდგომში წლის განმავლობაში რეალური საშტატო რიცხოვნობაა. აღნიშნულის გამო, შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები ან აუთვისებელი რჩება ან ნაწილდება თანამშრომლებზე პრემიების მუხლით, რაც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით არ შეიძლება მისაღებ პრაქტიკად ჩაითვალოს¹¹. მაგალითად:

¹¹ აღნიშნული პრობლემის შესახებ ყურადღება იქნა გამახვილებული საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში

- *იუსტიციის სამინისტროს აპარატის (26 01) მოსამსახურეთა რიცხოვნობა წინა წლის მსგავსად განისაზღვრა 316 საშტატო ერთეულითა და 4,614 ათასი ლარის შრომის ანაზღაურების ფონდით. თუმცა წლის განმავლობაში ვაკანტური ადგილების საშუალო ოდენობამ შეადგინა 159 ერთეული, ხოლო შრომის ანაზღაურების მუხლით ათვისებულმა სახსრებმა 2,498 ათასი ლარი (საშუალოდ ერთ მუშაკზე 1,988 ლარი). შესაბამისად, ბოლო 4 თვისათვის ასათვისებელი რჩება 2,116 ათასი ლარი (საშუალოდ ერთ მუშაკზე 3,369 ლარი), რაც 8 თვის განმავლობაში ათვისებული სახსრების 84.7%-ს წარმოადგენს.*
- *ანალოგიური ხარვეზები ვლინდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (29 00) სისტემაში, სადაც შრომის ანაზღაურების მუხლის დაგეგმვა ხდება სრული საშტატო განრიგის მიხედვით, მაშინ როდესაც წლების მანძილზე ათასობით საშტატო ერთეული ვაკანტურია. მაგალითად, ნაცვლად გეგმური 40,478 კაცისა სამინისტროს სისტემაში 2014 წლის 1 ივლისის მდგომარეობით შტატით მომუშავეთა ფაქტობრივმა ოდენობამ 33,106 კაცი, ანუ გეგმური მაჩვენებლის 81.8% შეადგინა (7372 ერთეულით ნაკლები).*
- *მსგავსი მდგომარეობაა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს (33 00) სისტემაში, სადაც შტატით გათვალისწინებული თანამშრომელთა რიცხოვნობა განისაზღვრა 7262 ერთეულის ოდენობით, თუმცა მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით შტატით მომუშავეთა ფაქტობრივმა ოდენობამ 6797 ერთეული შეადგინა (466 ერთეულით ნაკლები).*

	პრემია	პრემიები/შრომის ანაზღაურება	დანამატი/შრო მის ანაზღაურება	პრემია და დანამატი/შრომის ანაზღაურება
მხარჯავი დაწესებულებები ჯამურად	57,502	6.9%	12.5%	19.4%
საშუალო მაჩვენებელი მხარჯავი დაწესებულებების დონეზე	1,174	14.1%	10.0%	25.0%

ცხრილი #12. პრემია - შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზი (ათასი ლარი)

პრემიის წილი შრომის ანაზღაურებაში	0-10% ინტერვალში	10-20% ინტერვალში	20-50% ინტერვალში
მხარჯავი დაწესებულებების რაოდენობა	18	17	13

ცხრილი #13. პრემიის წილი შრომის ანაზღაურებაში მხარჯავი დაწესებულებებისათვის

3.1. მხარჯავი დაწესებულებები

მხარჯავ დაწესებულებებში გამოვლინდა არსებული ხარვეზები როგორც ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, ასევე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების კუთხით.

3.1.1. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული მასშტაბური გადანაწილებები

რიგ შემთხვევებში ცალკეული ქვეპროგრამების ფარგლებში ადგილი აქვს გამოყოფილი ასიგნებების აუთვისებლობას და შემდგომში, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მათ გადანაწილებას სხვადასხვა ქვეპროგრამებზე.

- 2009 წლიდან სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები შეუერთდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განმარტებით, მათი დაფინანსების, სამეცნიერო კვლევების, სამეცნიერო ინფრასტრუქტურისა და ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის მიზნით პროგრამის „მეცნიერების აღდგენა და განვითარება“ (პროგრამული კოდი 32 04 03 05) ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებების გადატანა ხორციელდებოდა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობისა“ (32 04 01) და „სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამების“ (პროგრ. კოდი 32 04 03 02) ქვეპროგრამებში. 2014 წელს, ამავე ქვეპროგრამების დამტკიცებულმა საბიუჯეტო ასიგნებებმა შეადგინეს 20,000 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ხაზინის 8 თვის მონაცემებით ასიგნებების ხარჯვა არ მომხდარა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს N 45 და N 378 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების საფუძველზე, ქვეპროგრამის სხვა ხარჯების მუხლიდან 4,910.5 ათასი ლარი გადატანილ იქნა „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა“ (32 04 04 13) ქვეპროგრამის სუბსიდიების მუხლში სამეცნიერო დაწესებულებათა ხელშეწყობის მიზნით. ამასთან, საყურადღებოა რომ, 2014 წლის სახელმწიფო ხაზინის 8 თვის მონაცემებზე დაყრდნობით, ათვისება არ მომხდარა არც „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა“ (32 04 04 13) ქვეპროგრამის ფარგლებში და ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამულ კოდებზე (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე) და აღნიშნულმა გადანაწილებამ საანგარიშო

პერიოდში ჯამურად შეადგინა 5,642.5 ლარი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია განხილულ იქნას „მეცნიერების აღდგენა და განვითარების“ ქვეპროგრამის დამოუკიდებლად არსებობის აუცილებლობა და საჭიროებისამებრ, ასიგნებების დაგეგმვის ეტაპზე განისაზღვროს შესაბამისი ქვეპროგრამების ასიგნებებში, რაც უზრუნველყოფს წლის განმავლობაში მსგავსი მასშტაბური გადანაწილების თავიდან არიდებას.

ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის „ცოდნის კარის“ (32 04 03 05 01) დამტკიცებული ბიუჯეტი 7,000 ათასი ლარით განისაზღვრა, რომელსაც 2014 წლის 26 აგვისტოს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების N801 ცნობით ასიგნება შეუმცირდა 3,000 ათასი ლარით, მათ შორის III კვარტალში 2,000 ათასი ლარით, IV კვარტალში კი 1,000 ათასი ლარით. აღნიშნული თანხები მიიმართა მთავრობის N303 დადგენილების საფუძველზე შექმნილ „განათლების საერთაშორისო ცენტრი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების განკარგვით“ პროგრამულ კოდში (32 04 03 05 02). საყურადღებოა რომ, საანგარიშო პერიოდში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ასიგნებების გადანაწილების მიზნით მომზადდა 85 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა. თუმცა, ასიგნებების გადანაწილების მოთხოვნით წარმოდგენილ წერილებში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება აღნიშნული სახსრებით, თუმცა არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რომელი აქტივობების შეჩერებას გამოიწვევს სხვა პროგრამების ასიგნებებიდან მითითებული თანხების ჩამოჭრა და შედეგად ვერ საბუთდება მისი უპირატესობა ასიგნების გადანაწილების არსებულ ფორმატთან მიმართებაში.

- საყურადღებოა, თავდაცვის სამინისტროს ასიგნებებში განხორციელებული გადანაწილებები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. სსიპ „დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის“ სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების მიზნით, სამინისტრომ 2014 წლის 10 იანვარს N13732 წერილით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, რათა უმაღლესი სამხედრო განათლების განვითარების პროგრამიდან (პროგრამული კოდი 29 02 02) შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნების და ამალლების (პროგრამული კოდი 29 01) პროგრამისათვის, საქონელი და მომსახურების მუხლით, 2014 წლის პირველი და მეოთხე კვარტლის ასიგნებებიდან გადაეტანათ 1,944.7 ათასი ლარი. მათ შორის 486.2 ათასი ლარი პირველ კვარტალში, ხოლო 1,458.5 ათასი ლარი მეოთხე კვარტალში. აღნიშნული გადანაწილება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის 2014 წლის 20 იანვრის ხარჯთაღრიცხვის

ცვლილების N18 ცნობის შესაბამისად. ამრიგად, წლის დასაწყისშივე განხორციელდა 2,000 ათას ლარამდე ასიგნებების გადანაწილება პროგრამებს შორის, რომლის გათვალისწინებაც შეიძლებოდა დაგეგმვის ეტაპზე. ასევე, **რიგ შემთხვევებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ ფინანსთა სამინისტროში გაგზავნილი მოთხოვნა (წერილი) არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, თუ რა გარემოებამ გამოიწვია ასიგნებათა გადანაწილება.** მაგალითად, 2014 წლის 12 თებერვლის N83390 წერილით სამინისტრომ სთხოვა ფინანსთა სამინისტროს, რომ შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნების და ამღლების (პროგრამული კოდი 29 01) პროგრამის ფარგლებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 2,605.9 ათასი ლარი გადაენაწილებინა საქონელი და მომსახურების მუხლში. წერილში მითითებულია, რომ „აღნიშნული ცვლილება დაკავშირებულია სანივთე ქონების და საწვავის შეძენესთან, ასევე მიმდინარე ხარჯების დაფინანსებასთან“. სხვა სახის დასაბუთება არ არის მოცემული. აღნიშნული გადანაწილება განხორციელდა 19 თებერვლის N110 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესაბამისად. ამასთან, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, 2014 წლის 22 ივლისს ამავე პროგრამის, საქონელი და მომსახურების მუხლიდან არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში მოითხოვა 6,000.0 ათასი ლარის გადატანა, რაც განხორციელდა 4 აგვისტოს N728 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესაბამისად. აღნიშნულ წერილშიც დასაბუთების გარეშეა მითითებული, რომ „აღნიშნული ცვლილება დაკავშირებულია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროექტების (ელექტრო და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების რეაბილიტაცია, ყაზარმების რემონტი და სასადილოების მშენებლობა) განხორციელებასთან“.

- მსგავსი პრობლემები იკვეთება *პრეზიდენტის ადმინისტრაციის* შემთხვევაშიც. კერძოდ, 2014 წლის 2 ივნისს N480 და 8 აგვისტოს N746 ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობების საფუძველზე „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან გადატანილია „არაფინანსური აქტივების“ მუხლში შესაბამისად 10 ათასი ლარი და 86 ათასი ლარი კომპიუტერული ტექნიკის შესაძენად. პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული დასაბუთება, თუ რატომ გახდა აღნიშნული მუხლობრივი ცვლილებები აუცილებელი და რატომ არ მოხდა მოცემული აქტივების შესაძენად საჭირო სახსრების გათვალისწინება დამტკიცებულ ბიუჯეტში.
- ხარვეზები შეინიშნება *საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს* ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების ეტაპებზეც.

აღსანიშნავია, რომ სამინისტროს ბიუჯეტში არ იქნა გათვალისწინებული განაცხადით მოთხოვნილი 9,800 ათასი ლარი, „რეგიონებში წყალმომარაგების მხარდაჭერის ღონისძიებები“ (25 04 06) ქვეპროგრამის განსახორციელებლად, თუმცა, მოგვიანებით მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის N599 და 23 აპრილის N712 განკარგულებებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილია ჯამში 1,134.5 ათასი ლარი „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის“ კაპიტალის გაზრდის მიზნით. ასევე, საავტომობილო გზების პროგრამების მართვის ქვეპროგრამას (25 02 01) არ დაუმტკიცდა დანამატის მუხლით საბიუჯეტო განაცხადით მოთხოვნილი 60,000 ლარი, თუმცა 9 თვის დაზუსტებულ გეგმაში ამ მუხლით გათვალისწინებულ იქნა 236,625 ლარი და ივლისის და აგვისტოს თვეების განმავლობაში ათვისებულ იქნა 142,435 ლარი. რიგ შემთხვევებში, დამტკიცებული ბიუჯეტით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს განესაზღვრა ასიგნებები ისეთი პროგრამების დასაფინანსებლად, რომლებიც არ იყო მოთხოვნილი საბიუჯეტო განაცხადით, ჯამში 38,685 ათასი ლარის ოდენობით (იხ. ცხრილი #14); თუმცა, 2014 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმით აღნიშნული თანხა 17,978.7 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის 8 თვის მონაცემებზე დაყრდნობით საკასო ხარჯმა შეადგინა მხოლოდ 4,117.2 ათასი ლარი, რაც დამტკიცებული ბიუჯეტის მხოლოდ 10.6%-ია და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 22.9%-ია. მათ შორის ორი პროგრამის შესრულება საანგარიშო პერიოდში საერთოდ არ დაწყებულა.

პროგრამული კოდი	დასახელება	განაცხადი	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული გეგმა (9 თვე)	ფაქტიური შესრულება (8 თვე)
25 02 02 07	თბილისის შემოსავლელი საავტომობილო გზის 15–21 კმ მონაკვეთის მშენებლობა-რეკონსტრუქცია	0	2,000	500	141
25 02 02 10	თიანეთი-ზარიძეები-ჟინვალი საავტომობილო გზის სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სარეაბილიტაციო სამუშაოები	0	4,000	4,000	2,589.7
25 02 02 12	შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი (მსოფლიო ბანკი)	0	10,000	4,500	0
25 03 02	რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	0	100	119	65

(მსოფლიო ბანკი)

25 03 07	სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში (საფრანგეთის მთავრობა)	0	17,100	6,025	0
25 05 01	დევენილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი)	0	5,485	2,835	1,322
სულ:		0	38,685	17,979	4,117

ცხრილი #14. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
განაცხადი-გეგმა-შესრულება

- რაც შეეხება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, „კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საინვესტიციო ფონდის“ (33 05 02) პროგრამის ფარგლებში, რომელიც შეიქმნა 2013 წელს, არ განხორციელებულა აქტივობები და შესაბამისად ვერ იქნა მიღწეული დასახული მიზნები, რის მიზეზადაც სახელდება ხელმძღვანელი პირისა და თანამშრომლების არარსებობა, თუმცა წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმის მიხედვით აღნიშნულ პროგრამაზე განსაზღვრული იყო 12 საშტატო ერთეული. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 1,985.0 ათას ლარს, საიდანაც განხორციელდა ასიგნებების გადანაწილება და ჯამურად, ცვლილებების მოცულობა, 1,712.4 ათას ლარს გაუტოლდა, რომელიც მიმართული იყო სხვადასხვა პროგრამებისა და ქვეპროგრამების ასიგნებების ზრდაზე. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში არც გასულ წელს არ გაწეულა საკასო ხარჯი და შესაბამისად არ განხორციელებულა დაგეგმილი ღონისძიებები. სამინისტროს მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი არგუმენტირებული დასაბუთება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

3.1.2. პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გამოვლენილი აუთვისებლობები

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, საყურადღებოა ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომლებიც საანგარიშო პერიოდში დაბალი აუთვისების ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, ის პროგრამები და ქვეპროგრამები რომელთა აუთვისების მაჩვენებელი 8 თვის მდგომარეობით 9 თვის დაზუსტებული გეგმის 50%-ზე ნაკლებია მთლიანი პროგრამების 14%-ს უტოლდება (საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელების გარეშე), ხოლო ქვეპროგრამების დონეზე ანალოგიური მაჩვენებელი 23%-ია.

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წლის დასაწყისში განესაზღვრა ასიგნება 263,500 ათასი ლარის ოდენობით. 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 232,320 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 156,111 ათასი ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 67%-ია. ცხრილში მოცემულია ის ქვეპროგრამები, რომლებიც შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება.

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	8 თვის შესრულება	8 თვის საკასო შესრულების წილი 9 თვის დაზუსტებულ გეგმაში (%)
37 01 03	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია	51,000	17,000	33%
37 01 04	ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია	700	119	17%
37 01 06	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	5,701	902	16%
37 02 02	სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი	954	261	27%
37 02 03	ეპიზოოტიური კეთილსამედობა და ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია	7,526	2,818	37%
37 03 03	ქართული ღვინოპროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები	3,660	1,742	48%

ცხრილი #15. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ქვეპროგრამების შესრულების მაჩვენებელი

აღსანიშნავია, რომ 8 თვის განმავლობაში დაბალი ათვისების ტენდენციას ავლენს „სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციის“ ქვეპროგრამა (37 01 03), რომლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა 51,100 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ მხოლოდ 17,000 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 24%-ია. საყურადღებოა ის ფაქტი რომ, გასული წლის ანალოგიური პერიოდისათვის, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული იყო 41,711 ათასი ლარი, რაც 9 თვის დაზუსტებული გეგმის 64%-ს შეადგენდა. 2013 წლის მსგავსად, შესრულების დაბალი მაჩვენებლებით გამოირჩევა „ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის“ (37 01 04) ქვეპროგრამა. ასევე, მიმდინარე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით პირველად განისაზღვრა „სოფლის მეურნეობის დარგებში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელების ქვეპროგრამა“ (37 01 06), რომლის ფარგლებშიც 8 თვის განმავლობაში ათვისებულმა რესურსმა 9 თვის დაზუსტებული გეგმის (5,701 ათასი ლარი) მხოლოდ 16% შეადგინა.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წლიური საბიუჯეტო კანონით ასიგნებები განესაზღვრა 754,300 ათასი ლარის დონეზე, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ

2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 754,318 ათასი ლარი შეადგინა. ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით 9 თვის დაზუსტებული გეგმა 567,464 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, ხოლო საკასო ხარჯი 419,934 ათას ლარს გაუტოლდა, რაც 9 თვის გეგმის 74%-ია. ცხრილში მოცემულია ის პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელთა ათვისების მაჩვენებელი 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით 50%-ს ჩამორჩება.


პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	9 თვის დაზუსტებული გეგმა	8 თვის შესრულება	8 თვის საკასო შესრულების წილი 9 თვის დაზუსტებულ გეგმაში (%)
32 01 03	განათლების ხარისხის განვითარება და მართვა	2,163	657	30%
32 02 04	განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება	1,320	580	44%
32 02 07	საზაფხულო სკოლები	1,017	444	44%
32 02 09	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამა	234	114	49%
32 02 10	ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი	213	98	46%
32 05 02	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	50,777	21,387	42%
32 02 04 03	განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისება - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	746	96	13%
32 02 05 01	ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	739	326	44%
32 02 09 01	სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის პროგრამა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	220	108	49%
32 02 10 01	ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგვა	219	98	45%
32 03 01 01	პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება	11,066	5,234	47%
32 05 01 02	საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო	1,971	1	0%

გასული წლის მსგავსად, ათვისების დაბალი ტენდენციით ხასიათდება „პროფესიული განათლების გაუმჯობესების და ხარისხის მართვის“ ქვეპროგრამა (32 03 01 01), რომლის საკასო ხარჯმა 5,234 ათასი ლარი შეადგინა, რაც დაზუსტებული გეგმის 47%-ია. შესრულების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება „განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისების“ ქვეპროგრამა (32 02 04 03), რომლის შესრულების მაჩვენებელი 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში 13%-ია და 9 პროცენტული პუნქტით ჩამორჩება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

3.2. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები


საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ჯამური მოცულობა 2014 წლის ბიუჯეტის კანონის მიხედვით წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 130 მლნ ლარით შემცირდა და 2,075 მლნ ლარის დონეზე განისაზღვრა. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების უდიდეს კომპონენტებს წარმოადგენს საგარეო და საშინაო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (შესაბამისად, 720 და 149 მლნ ლარი), რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (250 მლნ ლარი) და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები (795,9 მლნ ლარი).

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით მთავრობის სარეზერვო ფონდის მოცულობა წინა წლის მსგავსად განისაზღვრა 50 მლნ ლარის დონეზე, ხოლო პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის გეგმა გასული წლის მაჩვენებელთან (10 მლნ ლარი) მიმართებაში შემცირდა და 5 მლნ ლარი შეადგინა. რაც შეეხება ათვისებას, ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით, 8 თვის მდგომარეობით, მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გადარიცხული სახსრები წლიური გეგმის, შესაბამისად 51.7% და 14.4%-ს უტოლდება, რაც არსებითად განსხვავდება წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლებისაგან.




დიაგრამა #15.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, უწყებების მიხედვით, სახსრები გადარიცხულია მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის. რაც შეეხება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გადარიცხულ სახსრებს, უდიდესი წილი მოდის საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროზე (6,8 მლნ ლარი), მთავრობის კანცელარიასა (5,8 მლნ ლარი) და ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე (3,9 მლნ ლარი). განსაკუთრებით საყურადღებოა, სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა (ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებული მონაცემები განკარგულებების მიხედვით გადარიცხვის შესახებ), რომელიც მოცემულია დიაგრამებზე:



დიაგრამა #16.



დიაგრამა #17.

საყურადღებოა, სარეზერვო ფონდებიდან მიმდინარე წლის განმავლობაში გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობა, რაც არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებში. კერძოდ, განკარგულებების საფუძველზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების 37%-ის მიზნობრიობას წარმოადგენს მხარჯავი დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირება ან ცალკეული მიმდინარე ხარჯების დაფინანსება რაიმე კონკრეტული მიზეზის გარეშე, რაც ეჭვქვეშ აყენებს აღნიშნული ხარჯების სარეზერვო ფონდების რესურსით დაფინანსების აუცილებლობას.

საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად“ (მუხლი 28, პუნქტი 2). აღნიშნული რეგულაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფას იმ გადასახდელების დაფინანსებით, რომელთა გათვალისწინება ობიექტური გარემოებების გამო სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე შეუძლებელია; მაგალითად, სტიქიის შედეგების ან ცალკეული პირობითი ვალდებულებების დაფინანსება. თუმცა, არსებული პრაქტიკით, რიგ შემთხვევებში ხდება სახსრების მიმართვა იმ გადასახდელების დასაფინანსებლად, რომლებიც სისტემატურ ხასიათს ატარებს და სათანადოდ დაგეგმვის

შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა მათი გათვალისწინება შესაბამისი მხარჯავი დაწესებულებების ასიგნებებში. კერძოდ:

- წინა წლის მსგავსად, 2014 წლის განმავლობაში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან კვლავ მოხდა სახსრების მიმართვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიების დასაფინანსებლად (განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 825 ათასი ლარს);
- ასევე, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყო საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად (განკარგულებით გამოყოფილი თანხა შეადგენს 3 მლნ ლარს). აღნიშნული მიზნობრიობით სახსრები გამოყოფილია წინა საანგარიშო პერიოდებშიც. შეძენილია საკონსულტაციო მომსახურება ამერიკულ კომპანია “Patton Boggs” LLP-სგან (ხელშეკრულება ფორმდება ყოველწლიურად და ყოველთვიურად ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს 110,000 ამერიკულ დოლარს). შესყიდვის სისტემატიური ხასიათიდან და აუცილებლობიდან გამომდინარე (საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებისაკენ მისწრაფებების ლობირება) საკვებით შესაძლებელია აღნიშნული სახსრები გათვალისწინებულ ყოფილიყო შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში, ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;
- მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა სახსრები ქართული დიასპორის დღის აღნიშვნასთან დაკავშირებული ღონისძიებების დასაფინანსებლად (განკარგულების საფუძველზე გამოყოფილია 150 ათასი ლარი). დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს აღნიშნული მიზნობრიობით სარეზერვო ფონდებიდან თანხა გამოყოფილი აქვს წინა საანგარიშო პერიოდებშიც, რაზედაც ყურადღება გამახვილდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა ანგარიშებში. საყურადღებოა, რომ „ქართული დიასპორის დღის აღნიშვნა“ სამინისტროს აპარატის უშუალო ფუნქციებსა და ამოცანებში შედის. შესაბამისად, აპარატის დებულებით განსაზღვრული უშუალო ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად სარეზერვო ფონდიდან სახსრების გამოყოფა არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ ხარჯს და მისი შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების ასიგნებებში გათვალისწინება დაგეგმვის ეტაპზევეა შესაძლებელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სახსრები გამოიყო ისეთი ღონისძიებების დასაფინანსებლად როგორიცაა:

- ჩინეთში ზაფხულის მეორე ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებში, აზერბაიჯანში ევროპის ზაფხულის პირველ თამაშებსა და ავსტრიაში ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში მონაწილეობა (500 ათასი ლარი);
- ქ. თბილისში 2014 წლის 21-23 მარტს ძიუდოში გრან-პრის ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებისა და ჩატარების მიზნით (800 ათასი ლარი);
- ა(ა)იპ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ ქალთა მსოფლიოს გრან-პრის გათამაშებისათვის (460 ათასი ლარი), მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის განაცხადის საწევროს დასაფარავად (24 ათასი ლარი);
- ა(ა)იპ თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიის 2014 წელს დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის (500 ათასი ლარი);
- სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ეროვნული მნიშვნელობის კომპლექსური ძეგლის - სოფელ მუცოს სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად (730.0 ათასი ლარი);
- სხვა მსგავსი ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელება იგეგმება გარკვეული პერიოდით ადრე, რაც აღნიშნული სახსრების დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინების საშუალებას იძლევა.

ასევე, საყურადღებოა, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის ასიგნებების დაზუსტებისათვის გამოყოფილი თანხებიდან 461 ათასი ლარით გაზრდილია „საქონელი და მომსახურების“ მუხლი. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფისას არ არის გათვალისწინებული მხარჯავი დაწესებულების განკარგვაში არსებული რესურსები, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 8 თვის მდგომარეობით „საქონელი და მომსახურების“ მუხლით აუთვისებელი ასიგნებები შეადგენს 2,095 ათას ლარს (9 თვის გეგმასთან მიმართებაში).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აუცილებელია მოხდეს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრიობის სრულყოფილი დასაბუთება და შესაძლებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მხარჯავის ასიგნებებში გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, ვინაიდან მსგავსი ტიპის ხარჯების დაფინანსება არ წარმოადგენს სარეზერვო ფონდების ფუნქციას.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (53 08)


2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (53 08) 250,000 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც წინა წლის მაჩვენებელს 199,300 ათასი ლარით ჩამორჩება. **8 თვის საკასო შესრულება კი გეგმური მაჩვენებლის 47%-ს, ხოლო ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხის 50%-ს გაუტოლდა.**

გეგმა	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	ათვისების წილი წლიურ გეგმასთან მიმართებაში	ათვისების წილი ნორმატიული აქტით გამოყოფილ თანხასთან მიმართებაში
250,000	237,159.7	118,694.7	47%	50%

ცხრილი #17. 2014 წლის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ათვისება.
(ათასი ლარი)

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ნაწილი, რომლის მოცულობაც განისაზღვრება საქართველოს მთავრობის განკარგულებით, განიკარგება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N172 დადგენილების საფუძველზე შექმნილი სამთავრობო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ხოლო დარჩენილი ნაწილი საქართველოს მთავრობის განკარგულებით გადაეცემათ სხვა მხარჯავ უწყებებს, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს, საჭიროებისამებრ.

2014 წლის 8 თვის მონაცემების მიხედვით, ნორმატიული აქტით კომისიას მიენიჭა 139,988 ათასი ლარის, ხოლო აჭარის ა/რ-სა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს 53,792 ათასი ლარის განკარგვის უფლება. აღსანიშნავია, რომ აჭარის ა/რ-სა და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისათვის განკუთვნილი რესურსის მნიშვნელოვანი ნაწილი (36,182 ათასი ლარი) გამოიყო 2013 წელს კომისიის მიერ დამტკიცებული პროექტების დასასრულებლად, 14,995 ათასი ლარი მომხდარი სტიქიების სალიკვიდაციოდ, ხოლო 2,615 ათასი ლარი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.



დიაგრამა #18.

2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამთავრობო კომისიის განკარგვაში გადაცემული სახსრებიდან ათვისებულ იქნა 60,609 ათასი ლარი (43%). კომისია განსახორციელებელი პროექტების შერჩევას ახდენს 2013 წლის 7 თებერვლის მთავრობის N23 დადგენილების „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ მიხედვით. წინა წლისაგან განსხვავებით, 2014 წლისათვის განსახორციელებელი პროექტების შერჩევის პროცესი დაიწყო 2013 წლის დეკემბერში, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან საშუალებას იძლევა დამტკიცებული პროექტებიდან ტენდერების საშუალებით დაზოგილი თანხები დროულად მიიმართოს ახალი პროექტების დასაფინანსებლად.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისაგან წარდგენილ იქნა 1789 პროექტი, 880,991 ათასი ლარის ღირებულებით. საბოლოოდ კი დამტკიცდა 490 (27%) პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ 139,988 (16%) ათასი ლარი შეადგინა. წარდგენილი და დამტკიცებული პროექტების რაოდენობები მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია ცხრილში.

	წარდგენილი პროექტების ოდენობა	მოთხოვნილი თანხა	დამტკიცებული პროექტების ოდენობა	გამოყოფილი თანხა
გურიის მხარე	227	67,067	44	11,470
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	70	16,199	18	2,952
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	35	22,890	14	5,579
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	122	27,978	12	2,940
იმერეთის მხარე	333	198,089	128	33,141
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	17	16,134	4	2,261
ვანის მუნიციპალიტეტი	35	7,017	8	1,365
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	31	20,694	7	2,370
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	29	21,433	9	2,185
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	14	3,874	8	1,742
საჩხერის მუნიციპალიტეტი	39	28,449	6	1,919
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	29	6,903	7	2,173
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	68	43,035	54	10,928
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	13	6,152	5	2,385
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	20	32,230	7	2,690
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	16	4,641	9	1,961
ხონის მუნიციპალიტეტი	22	7,527	4	1,161
კახეთის მხარე	278	119,855	85	16,888
ახმეტის მუნიციპალიტეტი	28	9,802	5	2,078
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	45	10,296	27	2,817
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	86	32,570	7	1,559
თელავის მუნიციპალიტეტი	40	7,285	17	3,000
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	14	5,462	5	1,852
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	30	22,080	9	2,239
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	25	11,118	12	1,804
ყვარლის მუნიციპალიტეტი	10	21,243	3	1,539
მცხეთა-მთიანეთის მხარე	134	46,094	43	9,670
დუშეთის მუნიციპალიტეტი	46	27,859	6	2,060
თიანეთის მუნიციპალიტეტი	17	3,350	4	1,809
მცხეთის მუნიციპალიტეტი	57	9,655	30	4,880
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	14	5,230	3	921
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის მხარე	177	31,671	39	5,604
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	49	5,473	22	1,812
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	102	4,905	6	1,097
ონის მუნიციპალიტეტი	11	12,532	4	1,159
ცაგერის მუნიციპალიტეტი	15	8,761	7	1,537
სამეგრელო ზემო-სვანეთის მხარე	314	214,980	57	22,426
აბაშის მუნიციპალიტეტი	28	10,821	4	1,040

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	67	40,577	22	6,033
მარტვილის მუნიციპალიტეტი	19	31,092	3	2,574
მესტიის მუნიციპალიტეტი	30	17,475	4	3,024
სენაკის მუნიციპალიტეტი	17	12,758	5	2,234
თვითმმართველი ქალაქი ფოთი	13	29,991	4	3,520
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	79	38,302	3	1,088
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	31	14,240	8	1,571
ხობის მუნიციპალიტეტი	30	19,723	4	1,344
სამცხე-ჯავახეთის მხარე	143	86,503	27	11,632
ადიგენის მუნიციპალიტეტი	22	10,263	3	1,324
ასპინძის მუნიციპალიტეტი	12	12,877	2	1,318
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	18	3,677	9	1,914
ახალციხის მუნიციპალიტეტი	71	45,245	5	3,195
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	14	10,490	5	2,698
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	6	3,950	3	1,181
ქვემო ქართლის მხარე	125	59,408	45	16,243
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	8	14,219	2	1,720
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	40	11,133	18	1,737
დმანისის მუნიციპალიტეტი	14	7,726	5	1,457
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	36	4,720	6	605
მარნეულის მუნიციპალიტეტი	7	4,820	6	2,463
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	14	14,157	5	6,888
წალკის მუნიციპალიტეტი	6	2,631	3	1,373
შიდა ქართლის მხარე	58	57,325	22	12,914
გორის მუნიციპალიტეტი	12	13,019	4	4,195
კასპის მუნიციპალიტეტი	16	9,339	9	4,550
ქარელის მუნიციპალიტეტი	9	23,567	4	2,024
ხაშურის მუნიციპალიტეტი	21	11,400	5	2,145
სულ:	1,789	880,991	490	139,988

ცხრილი¹² #18. მუნიციპალიტეტების მიხედვით წარდგენილი და დამტკიცებული პროექტები

2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში დეტალურად იქნა აღწერილი სამთავრობო კომისიის მიერ დასაფინანსებელი პროექტების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. ასევე, ყურადღება იქნა გამახვილებული საკითხებზე, რომლებიც საჭიროებს დამატებით გაუმჯობესებას პროექტების სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში და გაცემულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

¹² აღნიშნული ინფორმაცია ეყრდნობა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემებს.

უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტებს შორის რესურსების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. 2013 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სამთავრობო კომისიის განკარგულებაში გადასაცემი თანხის განსაზღვრის შემდეგ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგენდა თითოეული მუნიციპალიტეტისათვის პროექტების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხის სავარაუდო ზღვრულ მოცულობას. აღნიშნულ ლიმიტს ნორმატიული ხასიათი არ ჰქონდა და მხოლოდ საორიენტაციო ხასიათის იყო, რაც ხელს უწყობდა მუნიციპალიტეტებს შორის სახსრების თანაბრად გადანაწილებას. 2014 წელს კი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, არ მომხდარა წინასწარ რაიმე სახის ლიმიტის განსაზღვრა და ფონდიდან გამოყოფილი თანხების მუნიციპალიტეტების მიერ წარმოდგენილი პროექტების მიხედვით გადანაწილება სრულად სამთავრობო კომისიის დისკრეციას წარმოადგენს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, უმჯობესია, შემუშავდეს/დაინერგოს ქმედითი ინსტრუქცია/მექანიზმი, რომელიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს შორის რესურსების მართლზომიერ ალოკაციას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ასევე გასათვალისწინებელია წარდგენილი საპროექტო წინადადებების არასრულყოფილად მომზადების საკითხიც, რაც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, ძირითადად განპირობებულია კადრების არასათანადო კვალიფიკაციის დონით ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აზრით, მიზანშეწონილია შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში კადრების გადამზადებას. აღნიშნული საკითხის დარეგულირება განაპირობებს საპროექტო წინადადებების ხარისხის ზრდას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს რესურსების მართლზომიერ გადანაწილებას.

ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ყურადღება იქნა გამახვილებული საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის (ექსპერტიზის ღირებულების ჩათვლით) ფონდიდან გამოყოფილი რესურსებისა და შემდგომში აღნიშნული პროექტების დაფინანსებაზე კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების საკითხზე. კერძოდ, 2013 წელს 41 პროექტის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ სამთავრობო კომისიის მიერ ფონდიდან საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისათვის გამოყოფილ იქნა სახსრები, თუმცა თავად პროექტის განხორციელებაზე კომისიამ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღო, რისი მიზეზიც გახდა ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა ან სხვა გარემოებები. აღნიშნულ პრობლემას ადგილი აქვს მიმდინარე წელსაც. 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით, იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც

დაწუნებულია ან შესაბამისი პროექტი სამთავრობო კომისიისათვის დასამტკიცებლად არ არის წარდგენილი, 33-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ძირითადად დაწუნებულ იქნა გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ წარდგენილი წყლის პროექტები, ხოლო 2014 წელს დაწუნებული პროექტები გაბნეულია სხვადასხვა(ლანჩხუთი, ჩოხატაური, ვანი, საჩხერე და ა.შ.) მუნიციპალიტეტებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფონდიდან რესურსების არაეფექტიანი განკარგვის თავიდან ასარიდებლად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მიზანშეწონილია, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და აუცილებელი ექსპერტიზის ღირებულება დაფინანსდეს თავად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან, ხოლო მისი ანაზღაურება ფონდიდან მოხდეს მხოლოდ პროექტის განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.

პრობლემები ვლინდება, ასევე, უკვე დამტკიცებული და განხორციელების პროცესში მყოფი პროექტების ანალიზისას, რომლებიც განაპირობებს პროექტების განხორციელების გაჭიანურებას. სახელდობრ:

- რამდენიმე შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პროექტის შემსრულებლის დაჯარიმებას, რაც მეტწილად გამოწვეული იყო სამუშაოების შესრულების გრაფიკის დარღვევით. ამასთან, რიგ შემთხვევაში, დაფიქსირდა მომწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის შეუსაბამობა წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტებთან, რამაც ასევე მისი დაჯარიმება გამოიწვია.
- ხშირია პროექტების განხორციელების გაჭიანურება დაგეგმვაში არსებული ხარვეზების გამო. რამდენიმე შემთხვევაში პროექტის განხორციელება გაჭიანურდა იმ მიზეზით, რომ სამუშაოების მიმდინარეობა დაემთხვა გაზიფიკაციის ღონისძიებებს. ასევე, ასფალტირების სამუშაოების დაყოვნება გამოიწვია მოუწესრიგებელი წყალგაყვანილობის სისტემის არსებობამ გზის იმავე მონაკვეთზე. რიგ შემთხვევებში, პროექტის განხორციელება გააჭიანურა იმ ფაქტმა, რომ ღონისძიებები მიმდინარეობდა ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა იღებდა მოსავალს. ცხადია, რომ აღნიშნული ფაქტორები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო დაგეგმვის ეტაპზევე, პროექტების სავარაუდო ვადებისა და ღირებულების განსაზღვრის პროცესში.
- ხშირია ხელშეკრულების თავდაპირველი ღირებულების ზრდა მასში შეტანილი ცვლილებების გამო, ან თვითონ პროექტის კორექტირება, რაც რიგ შემთხვევაში მისი დასრულების გადავადებას იწვევს.

- რიგ შემთხვევებში ხდება შემსრულებელ კომპანიასთან ხელშეკრულების შეწყვეტა და ახალი განმახორციელები ორგანიზაციის მოძიება, რაც ხელს უშლის პროექტების დროულ დასრულებას.
- გარდა ამისა, საყურადღებოა დამტკიცებული პროექტების დროული დაწყებისა და დასრულების საკითხი. მონაცემთა ანალიზისას ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში ტენდერი ცხადდება წინასწარ განსაზღვრული თარიღის შემდგომ. შესაბამისად, ჭიანურდება პროექტის დასრულების თარიღი. უფრო კონკრეტულად, არსებული ინფორმაციის შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ აგვისტოს მონაცემებით, ტენდერი არ გამოცხადებულა ისეთ პროექტებზე, რომელთა დასრულების თარიღადაც 2014 წლის აგვისტომდე პერიოდი მოიაზრებოდა. ამასთან, არსებობდა ისეთი პროექტებიც, რომელთა განხორციელება წლის პირველ ნახევარში უნდა დაწყებულიყო და ტენდერი ამ ეტაპზეც მიმდინარეობის პროცესშია. ამ მხრივ საყურადღებოა თეორიულად მუნიციპალიტეტი, სადაც სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობისათვის პროექტის მიმდინარეობის პერიოდად მითითებული იყო ივნისი-აგვისტო, თუმცა, მხოლოდ 23 სექტემბერს იქნა გაცემული ექსპერტის დადებითი დასკვნა და ამის შემდგომ იქნა დაწყებული სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება.

ამასთან, საყურადღებოა, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდირებას და სრულყოფილი სურათის შექმნას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებს ეკისრებათ ვალდებულება, პროექტის დასრულებიდან 15 დღის ვადაში წარადგინონ ანგარიში განხორციელებული სამუშაოების შესახებ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. თუმცა, არსებული ინფორმაციის მიხედვით, მათ მიერ არ ხდება აღნიშნული ანგარიშების დროული წარდგენა და შესაბამისად, არ არსებობს ერთიანი ბაზა, სადაც თავმოყრილი იქნება სრულყოფილი ინფორმაცია დასრულებული პროექტების შესახებ. ამგვარად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ვერ მოხერხდა 2013 წელს დამტკიცებული პროექტების მდგომარეობის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოძიება. აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესია, შემუშავდეს ქმედითი კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ანგარიშების დროულ წარდგენას, რათა მოხდეს ფონდიდან დაფინანსებული პროექტების სისტემატური მონიტორინგი და პროექტების შესრულების მდგომარეობის შეფასება.

4. ლიკვიდობის მართვის საკითხები

4.1. სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საშინაო ვალდებულებების ზრდა (შემოსულობა საშინაო ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) განისაზღვრა 600,000 ათასი ლარის დონეზე, რაც გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 450,000 ათასი ლარით აღემატება. 8 თვის ფაქტობრივი შესრულება კი 483,875 ათას ლარს წარმოადგენს, რაც წლიური გეგმის 81%-ს უტოლდება. წინა წლების მსგავსად, 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში, საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლი(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) განსაზღვრავს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით საშინაო ვალდებულებების წმინდა ზრდას, ხოლო საშინაო ვალდებულებების კლების შესაბამისი მუხლი(ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა), განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მიერ გასულ წლებში ღია ბაზრის ოპერაციებისათვის გამოშვებული სახელმწიფო ობლიგაციების დაფარვას. 2014 წლის ბიუჯეტის კანონით, საშინაო ვალდებულებების კლება (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) გასული წლის ანალოგიური მაჩვენებლის მსგავსად, 35,000 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 33,119 ათასი ლარი შეადგინა.


საშინაო ვალდებულებების ზრდა/კლება	2014 წლის გეგმა	ფაქტობრივი შესრულება (2014წ. 8 თვე)
საშინაო ვალდებულებების ზრდა (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა)	600,000.0	483,874.8
საშინაო ვალდებულებების კლება (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა)	35,000.0	33,119.1

ცხრილი 19. საშინაო ვალდებულებები (ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა) (ათასი ლარი)


აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით, დაიგეგმა ახალი 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების გამოშვება 200,000 ათასი ლარის მოცულობით, რომლებიც ემიტირდა თანაბარი 50,000 ათასი ლარის ოდენობით, 4 ეტაპად პირველსა და მესამე კვარტალში. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ხორციელდება, წინასწარ განსაზღვრულ, იგივე ვადიანობის სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე ძირითად ემისიასთან ერთად, აუქციონზე დაფიქსირებული კონკურენტული განაცხადების საშუალო შეწონილი ფასით. ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის ხელშეწყობისთვის განკუთვნილი სახაზინო ფასიანი ქაღალდების ყიდვის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოში მოქმედ კომერციული ბანკებს, რომლებმაც სურვილის

შემთხვევაში, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარადგინონ შესაბამისი წესით შევსებული არაკონკურენტული განაცხადები, რომლებიც ავტომატურად კმაყოფილდება მათთვის დაწესებული ლიმიტების ფარგლებში. ლიმიტები კი საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის N176 განკარგულებით დადგენილია ყველა ბანკისათვის ცალ-ცალკე და განისაზღვრება 2013 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საბანკო სფეროში მათი სააქციო კაპიტალის წილის შესაბამისად. ამას გარდა, აღნიშნული განკარგულების მიხედვით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით გამოშვებული სახაზინო ობლიგაციებიდან მიღებულ ფულად სახსრებს განათავსებს ამ სახაზინო ობლიგაციების მყიდველ კომერციულ ბანკში აუქციონის ანგარიშსწორების დღესვე გამოუთხოვადი ვადიანი დეპოზიტის სახით, კომერციული ბანკის მიერ ნაყიდი ფასიანი ქაღალდების ვადიანობის შესაბამისი ვადით. დეპოზიტზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის და გადახდის თარიღები ემთხვევა შეძენილი სახაზინო ობლიგაციების კუპონის დაფარვის თარიღებს, ხოლო დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება კუპონის განაკვეთს დამატებული ერთი საპროცენტო პუნქტი.

8 თვის მდგომარეობით, გამოცხადებული ემისიის მოცულობა 200,000 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, მაშინ როცა კომერციული ბანკებისაგან მთლიანი მოთხოვნა 172,838 ათას ლარს შეადგენდა. ამგვარად, სრულად დაკმაყოფილდა ბანკების მოთხოვნა, აუთვისებელი ლიმიტი კი გაუქმდა. ქვემოთ მოცემულ გრაფიკში აღწერილია 2 და 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე დაფიქსირებული შედეგები. საყურადღებოა, რომ კომერციული ბანკების მხრიდან ორივე სახის ობლიგაციების შემთხვევაში ძირითად აუქციონებზე დაფიქსირდა ჭარბი მოთხოვნა, მაშინ როცა ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფის მიზნით ემიტირებული ობლიგაციების შემთხვევაში, ბანკების მხრიდან, არ განხორციელებულა ემისიის მოცულობის სრული ათვისება. გამომდინარე აქედან, შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წელს განხორციელებული ეს ახალი პროგრამა კომერციული ბანკებისათვის ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა.



დიაგრამა #19.



დიაგრამა #20.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული მექანიზმის დანერგვა მოხდა ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით, რათა ხელი შეეწყოს საბანკო სექტორისათვის არსებული ჭარბი მოკლევადიანი რესურსის გრძელვადიანად ტრანსფორმირებაში, რასაც თავის მხრივ, გრძელვადიანი დაკრედიტების პოტენციალის გაზრდის სტიმულირება უნდა მოეხდინა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც 2014 წლის ბიუჯეტის კანონპროექტის დამტკიცებისას და არც შემდგომში მომხდარა ზემოხსენებული ახალი ფინანსური ინსტრუმენტის შემოღების მიზაშეწონილობის დოკუმენტური დასაბუთება. კერძოდ, რამდენად იყო საბანკო სექტორიდან მოთხოვნა აღნიშნულ ინსტრუმენტზე, თუ რა იქნებოდა მოსალოდნელი ეფექტი ეკონომიკურ გარემოზე როგორც მოკლევადიან, ასევე საშუალო და გრძელვადიან პერიოდში, რა კრიტერიუმებით უნდა შეფასებულიყო აღნიშნული მექანიზმის წარმატებულობა/წარუმატებლობა.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წლის 8 თვის განმავლობაში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების აუქციონის მეშვეობით გაიყიდა 926,330 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები, მათ შორის: 753,490 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები/ობლიგაციები და 172,840 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების 2 და 5 წლის ვადიანობის სახაზინო ობლიგაციები ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველსაყოფად. აღნიშნული აუქციონების შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტმა მიიღო 907,802 ათასი ლარის შემოსულობა, მათ შორის 966 ათასი ლარი პრემიუმის სახით, რომელიც არსებული პრაქტიკის შესაბამისად ვალდებულებების ზრდის მუხლიდან გადატანილ იქნა სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში (სახაზინო კოდი 3282).

სახაზინო ფასიანი ქაღალდის ტიპი	ნომინალური ღირებულება (ემისიის მოცულობა)	ფაქტობრივი შემოსულობა სახელმწიფო ბიუჯეტში	ძირითადი თანხა	დისკონტი	პრემიუმი
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	339,200.0	319,930.6	319,930.6	-19,269.4	
2-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	339,122.00	339,255.8	339,064.8	-57.2	191.0
მათ შორის:					
ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფა	87,836	87,831	87,831	-5	
5-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	218,008.0	218,078.7	217,892.7	-115.3	186.0
მათ შორის:					
ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფა	85,004	85,004	85,004		
10-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	30,000.0	30,537.3	29,947.9	-52.1	589.3
სულ:	926,330	907,802	906,836	-19,494	966

ცხრილი #20. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისია (ათასი ლარი; 2014 წლის 8 თვე)

ამავე პერიოდში დაიფარა გასულ წლებში ემიტირებული 255,000 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ფასიანი ქაღალდების საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულება. მათ შორის ძირითადმა თანხამ შეადგინა 250,126 ათასი ლარი, ხოლო დაფარულმა დისკონტმა 4,874 ათასი ლარი.

სახაზინო ფასიანი ქაღალდის ტიპი	ძირითადი თანხა	დისკონტი	კუპონი
12-თვიანი სახაზინო ვალდებულებები	90,189	4,811	
2-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	159,937	63	17,893
მათ შორის:			
ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფა	-	-	2,290
5-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	-	-	19,069
მათ შორის:			
ეკონომიკის გრძელვადიანი რესურსით უზრუნველყოფა	-	-	-
10-წლიანი სახაზინო ობლიგაცია	-	-	8,635
ჯამი:	250,126	4,874	45,598

ცხრილი #21. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების მომსახურება და დაფარვა (ათასი ლარი; 2014 წლის 8 თვე)

	3 თვე	6 თვე	8 თვე
ბიუჯეტში შემოსული თანხა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან	330,429.5	533,648.3	734,967.3
მათ შორის:			
ძირითადი თანხა	330,427.0	532,992.2	734,000.9

	პრემიუმი	2.6	656.1	966.4
ვალდებულების ზრდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან		330,427.0	532,992.2	734,000.9
სახაზინო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვა		102,636.1	186,295.9	250,126.1
ვალდებულების წმინდა ზრდა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ემისიიდან		227,790.8	346,696.3	483,874.8
სახელმწიფო ბიუჯეტის საშინაო ვალდებულებების ზრდის მუხლი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში		227,790.8	346,696.3	483,874.8

ცხრილი #22. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების აღრიცხვა ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებებში არაერთგზის გამახვილდა ყურადღება საშინაო ვალდებულებების ზრდისა (შემოსულობა საშინაო ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) და საშინაო ვალდებულებების კლების მუხლების აღრიცხვის სპეციფიკაზე. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, საბიუჯეტო სახსრების მოძრაობის შესახებ დეტალური ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია როგორც ბიუჯეტის კანონში, ასევე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში, სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების გამოშვების შედეგად მიღებული სახსრების სრულად ასახვა ვალდებულებების ზრდის, ხოლო ძირითადი თანხის დაფარვა - ვალდებულებების კლების მუხლით¹³.

ასევე, აღსანიშნავია პრემიუმის აღრიცხვის საკითხი, რაზეც ასევე გამახვილდა ყურადღება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წინა წლის მოხსენებაში. მოხსენებაში გამოვლინდა ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყენებულ და საერთაშორისო სავალუტო ფონდის საჯარო ფინანსების სტატისტიკის განახლებულ სახელმძღვანელოში(2014 წლის მარტი) განსაზღვრულ პრემიუმის აღრიცხვის მეთოდებს შორის სხვაობა. კერძოდ, სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ „საკასო მეთოდით აღრიცხვის შემთხვევაში, დისკონტის სახით გასაწევი ხარჯი აისახება როგორც ხარჯი, სახაზინო ფასიანი ქაღალდის დაფარვის ვადის დადგომისას, ხოლო პრემიუმის სახით შემოსულობა აისახება როგორც საპროცენტო ხარჯის შემცირება ფასიანი ქაღალდის გამოშვებისას¹⁴;“ მაშინ როცა ფინანსთა სამინისტრო აღრიცხავს პრემიუმს სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებში(სახაზინო კოდი 3282).

რაც შეეხება სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების გამოშვებით დაგროვილი ვალის ნაშთს, 2014 წლის კვარტალურ ანგარიშებში ასახული ვალის ნაშთი წარმოადგენს

¹³ აღნიშნულ საკითხის დეტალური ანალიზი მოცემულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

¹⁴ („On a cash basis, interest resulting from the discount should be recorded as an expense on redemption of the bond. Interest resulting from a premium should be recorded as a reduction in interest expense at the time of issue.“ IMF Government Finance Statistics Manual 2014, Pre-Publication Draft, 9.40)

ვალდებულებების მოცულობას ნომინალურ გამოსახულებაში(at face value) ანუ გადასახდელი დისკონტის გათვალისწინებით.

	31/12/2013 წ.	3 თვე	6 თვე
ვალის მოცულობა*	737.0	970.5	1,095.5
ვალდებულებების წმინდა ზრდა შესრულების ანგარიშებში (კუმულაციური)		227.8	346.7
ვალდებულებების წმინდა ზრდა ნომინალში (კუმულაციური)		233.5	358.5
ვალის მოცულობის ცვლილება		233.5	358.5

ცხრილი #23. სახაზინო ვალდებულებების/ობლიგაციების ემისიით დაგროვილი ვალი(მლნ ლარი).

* ვალის მოცულობა ასახავს სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალურ ანგარიშებში „სახელმწიფო ვალის“ ნაწილში მოცემულ მაჩვენებლებს სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების ემისიით დაგროვილი ვალის შესახებ.

ვალის ნაშთის ნომინალით წარმოდგენის მიდგომის გამოყენების მიზანშეწონილობაზე მოსაზრება გამოითქვა 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშზე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაში. კერძოდ, მოხსენებაში აღინიშნა, რომ საერთაშორისო პრაქტიკით, სხვა ალტერნატივის არ არსებობის შემთხვევაში, დასაშვებია ვალის ნაშთის ასახვა დაფარვის სახსრების მოცულობით(at face value), თუმცა აღნიშნული სახით გაანგარიშებული ვალის ნაშთი ასახავს დისკონტის იმ მოცულობას, რომლის დარიცხვაც საანგარიშო პერიოდების შესაბამისად ეტაპობრივად ხდება. მაგ. დისკონტით გამოშვებული 5 წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემთხვევაში ემისიისას ვალის ნაშთში სრული ნომინალური მოცულობის ასახვა გულისხმობს, რომ ემისიისას სახელმწიფო ვალდებულებად აღიარებს დისკონტს, რომლის ვალდებულებად აღიარებაც, დარიცხვის მეთოდის შემთხვევაში, ეტაპობრივად უნდა მოხდეს, დისკონტის ამორტიზაციის შესაბამისად. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების აღრიცხვა საკასო მეთოდით წარმოებს, მიზანშეწონილია ნაშთის გაანგარიშებისას გათვალისწინებულ იქნას აღნიშნული საკითხი, რათა ემისიისას არ მოხდეს ვალის ნაშთის ამ კომპონენტის გადაჭარბებით ასახვა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო წლებში ხორციელდება გრძელვადიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებაზე ფოკუსირება.

4.1.1. ფულადი სახსრების მართვა


2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული სახსრები კომპონენტების მიხედვით მოცემულია ცხრილში.

სამთავრობო დეპოზიტები	03.01.2013	01.01.2014	01.09.2014
ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	332,395	287,146	243,076
შემოსავლების სარეზერვო ქვეანგარიში	18,846	1,516	7,477
მიზნობრივი გრანტები	13,263	9,213	22,209
სახაზინო სამსახურის სავალუტო ანგარიშზე რიცხული ნაშთი	188,012	146,834	248,755
სსფ ვალის მომსახურების ქვეანგარიში	356,202	-	-
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული დეპოზიტური ნაშთი	37,596	36,658	39,455
დეპოზიტები კომერციულ ბანკში	-	-	172,835
მოკლევადიანი კრედიტები	-	-	-
ხაზინის ერთიან ანგარიშზე რიცხული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების კუთვნილი თანხები	990	6,909	1,893
ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები	152,803	230,637	260,157
სულ ანგარიშებზე რიცხული ნაშთი:	1,100,107	718,914	995,857

ცხრილი #24. სამთავრობო დეპოზიტების დინამიკა (ათასი ლარი)

სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი წარმოადგენს სხვაობას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებს შორის, რომელიც თავის მხრივ მოიცავს, თავისუფალ ნაშთს, ფულად სახსრებს საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად და ფულად სახსრებს აკრედიტივით ანგარიშსწორებისათვის ან სხვა მიზნობრივი დანიშნულებით. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 415.9 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც თავისუფალი ნაშთის ოდენობა 415.3 მლნ ლარს წარმოადგენს. სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი მოიცავს ხაზინის ერთიან ანგარიშზე არსებულ სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთსა (234 მლნ ლარი) და ვადიან დეპოზიტებს კომერციულ ბანკებში (172.8 მლნ ლარი)¹⁵.

¹⁵ „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის #176-ე განკარგულების თანახმად, სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან 172 835.1 ათასი ლარი განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.



დიაგრამა #21.

გასული წლის მსგავსად, მიმდინარე წელს ხაზინის თავისუფალი ნაშთიდან მოკლევადიანი კრედიტი არ გაცემულა, თუმცა 2014 წლის მარტიდან კომერციულ ბანკებში დაიწყო ვადიანი დეპოზიტების სახით სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით შედეგად მიღებული სახსრების განთავსება. 2014 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით აღნიშნულ დეპოზიტზე განთავსებული სახსრების ოდენობამ 172.8 მლნ ლარი შეადგინა.

5. საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსება

2014 წლის პირველი 8 თვის მდგომარეობით საგარეო წყაროებიდან მიღებული დაფინანსების სტრუქტურის ანალიზით ვლინდება, რომ მიღებული გრანტების მოცულობა აჭარბებს გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო წლიურ გეგმასთან მიმართებაში 67.4% შეადგენს. 2013 წელთან შედარებით გრანტების მუხლით ათვისების მაჩვენებელი გაუმჯობესებულია და შეიძლება ითქვას, რომ მათი სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. საგარეო კრედიტების შემთხვევაში, მიმდინარე წელს ბიუჯეტმა 8.4 მლნ ლარით ნაკლები შემოსულობა მიიღო საგარეო საკრედიტო რესურსიდან, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ პერიოდში. წლიურ გეგმასთან მიმართებაში, საგარეო კრედიტების ათვისების მხრივ ჩამორჩენა საგრძნობია და წლიური გეგმის მხოლოდ 23.9%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგარეო კრედიტებიდან მიღებული სახსრების ათვისება პროცენტულად დაახლოებით 1.5-ჯერ გაუარესდა. აგრეთვე, გაუარესებულია საშუალოთვიური ათვისებაც. კერძოდ, 2014 წლის 8 თვის საშუალოთვიური ათვისება 30,917.03 ათას ლარს შეადგენს, რაც 1,046.15 ათასი ლარით ნაკლებია

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. საგარეო საკრედიტო რესურსებიდან ფინანსური სახსრების ათვისების დაბალი მაჩვენებელი კიდევ უფრო მეტად საყურადღებოა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ 2013 წლის 8 თვის მდგომარეობითაც ათვისება მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დაგეგმილ მაჩვენებელს.

	2013 წელი			2014 წელი		
	8თვის შესრულება	წლიური გეგმა	შესრულება ა წლიური გეგმის მიმართ%	8თვის შესრულება	წლიური გეგმა	შესრულება ა წლიური გეგმის მიმართ%
გრანტები	82,498.00	202,500	40.7%	97,029.18	144,000	67.4%
საგარეო კრედიტები	255,705.41	718,000	35.6%	247,336.25	1,036,000	23.9%
<i>მათ შორის:</i>						
საინვესტიციო კრედიტები	255,705.41	650,000	39.3%	208,710.79	600,000	34.8%
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	0	68,000	0	38,625.46	436,000	8.86%

ცხრილი #25. საგარეო კრედიტებისა და გრანტების ათვისების მაჩვენებელი (ათასი ლარი)

2014 წლის პირველ 8 თვეში საგარეო ვალდებულებების (სესხები) ზრდა განხორციელდა ძირითადად საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში მიღებული სახსრების ბიუჯეტში კონვერტაციის ხარჯზე. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტების შემთხვევაში, წლიური გეგმის მხოლოდ 8.86%-ია შესრულებული. ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტებისაგან განსხვავებით საინვესტიციო კრედიტების ათვისება უმეტესწილად დამოკიდებულია შესაბამისი პროექტების წარმატებით განხორციელებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ საინვესტიციო კრედიტების ნაწილში წლიური გეგმის მხოლოდ 34.8%-ია შესრულებული, მიზანშეწონილია, რომ შესაბამისმა პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად უზრუნველყონ საგარეო წყაროებიდან დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების წარმატებით განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორების პრევენცია და ხელი შეუწყონ მოზიდული რესურსების ეფექტიან გამოყენებას.

გამოყოფილი საგარეო საკრედიტო რესურსების ათვისების დაბალი მაჩვენებელი საყურადღებოა იმ მხრივ, რომ საგარეო კრედიტების გარკვეულ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის (პროცენტი სესხის აუთვისებელ ნაწილზე) გადახდა. შედეგად, შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების მიერ მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს განსაკუთრებით მსგავსი ტიპის სესხებზე სახსრების დროულ ათვისებასა და შესაბამის სფეროებში ინვესტირებას. მაგალითად, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის შესრულების მიზნით, 2010 წლის 18 თებერვალს ხელი მოეწერა „აჭარის მყარი ნარჩენების პროექტის“ სასესხო ხელშეკრულებას ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა (ბანკი) და საქართველოს შორის, რომლის თანახმად ბანკი დათანხმდა საქართველოს გამოუყოს 3,000 ათასი ევრო. აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად, სესხის


მიმღები აუთვისებელ ნაწილზე იხდის ვალდებულების გადასახადს წლიური 0,5%-ის ოდენობით, ხოლო სესხის ათვისების ბოლო ვადად განისაზღვრა 2013 წლის 31 დეკემბერი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით მოთხოვნილია სესხის ათვისების ბოლო ვადის გაგრძელება, თუმცა ჯერჯერობით აღნიშნულ საკითხზე ბანკის ოფიციალური პასუხი უცნობია და საკითხი წარმოადგენს მოლაპარაკების საგანს. 2013 წელს განხორციელებული რიგი ღონისძიებების მიუხედავად, კვლავ ვერ მოხერხდა პროექტის სამუშაო ვარიანტის შემუშავება და შესაბამისად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან მიღებული სესხის აუთვისებელ ნაწილზე, ვალდებულების გადასახადის სახით გადახდილია სულ 137,4 ათასი ლარი. მათ შორის 2011 წელს -51.0 ათასი ლარი, 2012 წელს - 34.2 ათასი ლარი, 2013 წელს -33.6 ათასი ლარი და 2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით - 18.6 ათასი ლარი. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დამატებით აღსანიშნავია გრანტის სახით გამოყოფილი 1,009.2 ათასი ევროს არაეფექტიანი ხარჯვა. მოცემული თანხით განხორციელდა საკონსულტაციო კომპანიების მომსახურების შესყიდვა, რომელიც ნაგავსაყრელის ადგილმდებარეობის ცვლილების გამო (რაც პროექტის ვერ განხორციელების მიზეზად სახელდება) სრულად გამოუსადეგარი გახდა.

მსგავსი პრობლემებით ხასიათდება „ქობულეთის წყალარინების პროექტი“, რომლის განხორციელებასთან დაკავშირებით 2008 წელს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (ბანკი) გაფორმდა სასესხო ხელშეკრულება 1,500 ათასი ევროს ოდენობაზე. აღნიშნული თანხის ათვისების ბოლო ვადა, ხელშეკრულების მიხედვით, იყო 2011 წლის 30 სექტემბერი. მოცემული პერიოდისათვისვე იგეგმებოდა პროექტის დასრულებაც, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელზეც ზოგადი კომენტარები გაკეთებულია გასული წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში, პროექტის ფარგლებში საკრედიტო რესურსის აუთვისებლობაზე გაკეთებული კომენტარები ბუნდოვანია და ვერ ჩაითვლა დამაკმაყოფილებლად. მაგალითად, 2010 და 2011 წლების ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიშებში თანხების აუთვისებლობის მიზეზად დასახელდა შესაბამისად დონორთან მოლაპარაკების გადადება და ადგილმდებარეობის მონაცვლეობის გამო პროექტის მიმდინარეობის შეფერხება. 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით აღნიშნული სესხიდან ათვისებულია მხოლოდ 252,006 ევრო და გამომდინარე იქიდან, რომ სესხის აუთვისებელ ნაწილზე ირიცხება ვალდებულების გადასახადი წლიური 0.5%-ის ოდენობით, საანგარიშო პერიოდისათვის პროცენტების სახით გადახდილია 44,074 ევრო. შედეგად, პროექტი, რომელიც გეგმით 2011 წელს უნდა დასრულებულიყო 2014 წელსაც ვერ დასრულდება, ვინაიდან პროექტთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მისი დასრულება იგეგმება 2015 წელს.

2014 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, 30 საინვესტიციო პროექტის ფარგლებში განისაზღვრა შეღავათიანი, საინვესტიციო კრედიტების მობილიზება. 8 თვის მდგომარეობით, აღნიშნული პროექტებიდან 11 შემთხვევაში თანხების ათვისება საერთოდ არ დაფიქსირებულა. აღნიშნული პროექტების ფარგლებში ჯამში 150,198.4 ათასი ლარის ინვესტიცია იყო დაგეგმილი, რაც წლიური დაგეგმილი საინვესტიციო კრედიტების მოცულობის 25.03%-ს შეადგენს.

პროგრამული კოდი	პროექტის დასახელება	გეგმა	ფაქტი	%
36 04 03	IBRD – 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა	14,000	0	0%
25 02 03 02	IBRD – აღმოსავლეთ-დასავლეთი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის III პროექტი (სვენეთი-რუისი)	6,800	0	0%
25 03 03	IBRD – რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის დამატებითი დაფინანსება	515	0	0%
25 02 02 12	IBRD – შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტი	8,000	0	0%
25 03 02	IDA - რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი	100	0	0%
25 02 03 07	EIB - აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტი A (სამტრედია-გრიგოლეთი-ქობულეთი)	40,000	0	0%
25 04 01	EBRD - ქობულეთის წყალარინების პროექტი	1,000	0	0%
25 04 02	EIB - წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი	12,060	0	0%
25 04 03	EIB - წყლის ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი II	51,000	0	0%
25 03 07	საფრანგეთი - სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება ზემო სვანეთში	14,475	0	0%
53 11 03	EBRD- აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი	2,248	0	0%

ცხრილი #26. საინვესტიციო პროექტების ათვისება 2014 წლის 8 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)



მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში თანხების ათვისება განხორციელდა 2014 წლის ბიუჯეტის კანონით დაუგეგმავი საინვესტიციო პროექტების ფარგლებშიც, რომელთა საერთო თანხამ 31,442.46 ათასი ლარი შეადგინა. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტის კანონით დაგეგმილ და პირველ 8 თვეში ფაქტიურად ათვისებულ თანხებს შორის სხვაობა გაცილებით მეტი იქნება თუ არ გავითვალისწინებთ კანონით დაუგეგმავი პროექტების ფარგლებში თანხების ათვისებას. **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით, აუცილებელია გაუმჯობესდეს კოორდინაციისა და დაგეგმვის პროცესი საინვესტიციო სესხების ფარგლებში თანხების ათვისებასა და პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით.**

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, პირველ 8 თვეში საგარეო ვალდებულებების ზრდის სესხების მუხლით შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში მიმდინარე წელს ყველაზე დაბალია. აღნიშნული მდგომარეობა ძალიან ჰგავს გასული წლის მდგომარეობას ანალოგიური პერიოდისათვის, როცა ათვისების ასევე ძალიან დაბალი მაჩვენებელი იყო დაფიქსირებული. **აღსანიშნავია, რომ გასული წლის მდგომარეობით, სესხების კუთხით ბოლო 4 თვეში ათვისებული იქნა 332,655.09 ათასი ლარი, რაც პირველ 8 თვეში ათვისებულ თანხას 1.3-ჯერ აღემატებოდა, ხოლო წლის ბოლო კვარტალში ათვისებული საბიუჯეტო სახსრების მასშტაბურმა ხარჯვამ, სხვა ფაქტორებთან ერთად, უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე.**

	2013 წელი			2014 წელი		
	წლიური გეგმა	8თვის შესრულება	წლიური ფაქტიური შესრულება	წლიური გეგმა	8თვის შესრულება	ასათვისებელი რესურსი გეგმის შესასრულებლად
საგარეო კრედიტები	718,000	255,705.41	588,360.5	1,036,000	247,336.25	788,663.75
<i>მათ შორის:</i>						
საინვესტიციო კრედიტები	650,000	255,705.41	471,725.6	600,000	208,710.79	391,289.21
ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები	68,000	0	116,634.9 ¹⁶	436,000	38,625.46	397,374.54
სავალუტო კურსები						
	USD/GEL		EUR/GEL		SDR/GEL	
31.08.2013	1.6615		2.1993		2.5176	
31.12.2013	1.7363		2.3891		2.6739	

¹⁶ აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია 2013 წელს სავალუტო ანგარიშიდან 15,384 ათასის ექვივალენტი ლარის ბიუჯეტში გადატანა, რომელიც იყო 2011 წელს გამოშვებული ევრობლიგაციების შედეგად მიღებული შემოსულობის ნაწილი.

მიმდინარე წელსაც სესხების სახით ასათვისებელი რესურსი შეადგენს 788,663.75 ათასი ლარს. თუ გავითვალისწინებთ გასული წლის გამოცდილებას და მიმდინარე წლის ათვისების დაბალ მაჩვენებელს, საბიუჯეტო წლის ბოლოს ათვისებელი თანხების მოსალოდნელმა მასშტაბურმა ხარჯვამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსზე. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ **სახელმწიფო ვალის უდიდესი ნაწილი (74%) უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, დამატებითი ყურადღება უნდა დაეთმოს სავალუტო კურსის ცვლილების შედეგად გამოწვეული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების მინიმიზაციას.**

როგორც უკვე არა ერთხელ იქნა აღნიშნული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გასული წლების ანგარიშებში, სახელმწიფო ბიუჯეტის საგარეო ვალდებულებების (სესხები) ზრდის მუხლი ვერ იძლევა სრულყოფილ სურათს ვალდებულებების რეალურ ზრდასთან დაკავშირებით, რაც განპირობებულია მათი აღრიცხვის სპეციფიკიდან.¹⁷ 2014 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი გასული წლის ბოლოს არსებულ ნაშთთან შედარებით შემცირებულია 159,466 ათასი ლარით და შეადგენს 7,136,512 ათას ლარს (4,110,894 ათასი აშშ დოლარი). **იმ ფონზე, რომ 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი ითვალისწინებს გასული წლის ბოლოს არსებულ მაჩვენებელთან შედარებით სახელმწიფო ვალის ნაშთის ზრდას მაქსიმუმ 529,967.1 ათასი ლარით, მოსალოდნელია წლის ბოლოს საგარეო წყაროებიდან მოზიდული სახსრების აქტიური ათვისება.**

¹⁷ საგარეო ვალდებულებების აღრიცხვის სპეციფიკასთან დაკავშირებით იხილეთ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები